# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს

№87 (1597)

3-5 სექტემბერი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწვალებლური კითხვები

# იცოდა თუ არა ედუარდ შევარდნაძემ გიორგი ჭანტურიას მკვლელის ვინაობა მკვლელობის დღესვე?



2

# საქართველოს ეროვნული ძალების საყურადღებოდ

დღეს აღმ.ევროპაში, კავკასიაში და შუა აზიაში რუსეთის იმპერიის შევიწროების განუხრელი პროცესი მიმდინარეობს. რუსეთმა სამუდამოდ დაკარგა ბალტიისპირეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და სლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, უკრაინა, ამიერკავკასია და შუა აზია. იგი დიდი ალბათობით კარგავს ჩრდილო კავკასიის სამხრეთ, არარუსულ ზოლსაც. რუსეთის სამხრეთი საზღვრის გაყოლებაზე, შავი ზღვიდან ჩინეთამდე ჩამოყალიბდა დღევანდელი მსოფლიოს ძირითადი წარმმართველი ძალის – დასავლეთის ზეგანვითარებული ქვეყნების – პირველხარისხოვან ინტერესთა ზონა, რომელთა წინააღმდეგობის გაწევა რუსეთს არ შეუძლია. ეს ინტერესებია შუა აზიის გიგანტური რესურსების ჩართვა თავის ეკონომიკურსა და სტრატეგიულ სისტემაში, შუა აზიისკენ უმოკლესი გზის გაჭრა და ამ გზაზე მაღალგანვითარებული სატრანსპორტო, ინდუსტრიული და სტრატეგიული ზოლის შექმნა, რომელიც სამუდამოდ გადაკეტავს ახლო აღმოსავლეთისკენ ჩრდილოური ძალის ექსპანსიის შესაძლებლობას. რუსეთი ყველა ღონით ეწინააღმდეგება ამ პროცესს, მაგრამ ეს წინააღმდეგობა იმპერიის ფსიქოლოგიური ინერციის შედეგია და არა გათვლისა. ამიერკავკასიაში ევროპა-შუა აზიის სატრანსპორტო, ინდუსტრიული და სტრატეგიული ხიდის გადება გარდუვალია. შესაბამისად, გარდუვალია ამიერკავკასიის სახელმწიფოების მწვავე ბრძოლა ამ ზოლში შემდგომი თვითდამკვიდრებისათვის (თავის შენარჩუნებისათვის) და სხვა სახელმწიფოების ბრძოლა ამ ზოლში სტრატეგიული ან ეკონომიკური ფეხმოკიდებისა და გავლენის სფეროს მოპოვებისათვის.

შესაბამისად, ამიერკავკასიის ყოველი სახელმწიფო დგას არჩევანის წინაშე: ან დამოუკიდებლობის გზა, რომელიც ჰარმონიაშია მსოფლიოსა და ჩვენს რეგიონში უკვე ყველაზე დიდ ძალად ქცეული ცივილიზებული დასავლეთის პოლიტიკის მიმართულებასთან და ერთადერთი პერსპექტიული გზაა სამომავლოდ, ან კვლავ დაქვემდებარება ამჟამად უკვე უკან-უკან მავალი რუსული იმპერიის დიქტატისადმი, მასთან ერთად უპერსპექტივო წინააღმდეგობა მსოფლიოს გეოპოლიტიკის ამ გარდუვალი პროცესისადმი, რითაც ეს კავკასიური სახელმწიფო გამოუსწორებლად გაიძნელებს რეგიონის ახალ მოწყობაში ხელსაყრელი თვითდამკვიდრების ამოცანას.

ამ დიდი გეოპოლიტიკური პროცესის პარალელურად მიდის ასევე დიდმასშტაბიანი პროცესი ყოფილი დიქტატორული ეკონომიების (ეკონომიკური სისტემების) ნგრევისა და, აქედან გამომდინარე, *დედამიწის ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ ძალთა ახალი განლაგების შექმნისა.* დასავლეთის განუყოფელმა გამარჯვებამ „ცივ ომში“ განაპირობა მისი ცალსახა დიქტატი ყოფილი მოწინააღმდეგის (ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების შინაგან განვითარებაზე, ეკონომიკურის ჩათვლით. მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკურმა აზრმა შეიმუშავა ოპტიმალური ეკონომიკური პროგრამა აგრესიული ზესახელმწიფოს (რუსეთის) სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და მისი ეკონომიკური ბაზის შეკვეცა-გაუქმებისათვის, რაც კაცობრიობის, როგორც მთელის, ინტერესებს შეესაბამება. ეს პროგრამა დღეს ხორციელდება მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ძალიან ფართო წრეები ეწინააღმდეგებიან ამ პროცესს. ამ პირობებში სსრკ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, ამჟამად კი დამოუკიდებელი სახელმწიფოები სასიცოცხლო არჩევანის წინაშე დგანან: სტიქიურად აჰყვნენ ტექნოლოგიურ-ინდუსტრიულ მოწინავეობაზე ორიენტირებული, სახელმწიფოებრივად მხარდაჭერილი ეკონომიკის დაშლის ამ პროცესს, რომლის თანმხლები შედეგია წარმოების მასობრივი გაჩერება და თითქმის საყოველთაო უმუშევრობა (დიდი ხნის მანძილზე), თუ მოახდინონ გააზრებული, მიზანმიმართული ძალისხმევა ეროვნული ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემისა და, კერძოდ, როგორც ტექნოლოგიურ-ინდუსტრიულ მოწინავეობაზე ორიენტირებული სისტემის გადასარჩენად? რამდენადაც ამ შედარებით მცირე ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი მცირეა, მათს არჩევანში გლობალური (საკაცობრიო) ინტერესები გათვალისწინებას არ მოითხოვს. მეორეს მხრივ, რამდენადაც ისინი რუსეთისთვის ჯერ კიდევ გავლენის სასურველი ობიექტები არიან, რუსეთი დაინტერესებულია, რომ ეროვნული ეკონომიკის ტექნოლოგიური და სამრეწველო დეზინტეგრაციის პროცესები ამ ქვეყნებში უფრო ინტენსიური იყოს, ვიდრე რუსეთში.

ამ ორ გლობალურ პროცესთან ერთად დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს *დედამიწის საცხოვრებელი სივრცისათვის ბრძოლის,* კერძოდ – *ტერიტორიების, ბაზრების, გავლენისა* და უპირატესი კონტაქტების სფეროებისათვის ბრძოლის, კუთვნილის შენარჩუნებისა და ახლის მოპოვებისათვის ბრძოლის პროცესი. ერთმანეთს ებრძვიან არა ინდივიდები და კომპანიები, არამედ ინტერესთა ჭეშმარიტად გლობალური და ერთმანეთთან უცვლელი სამარადისო კავშირებით გაერთიანებული ჯგუფები – *სახელმწიფოდ ორგანიზებული ერები ანუ ეროვნული სახელმწიფოება.*

სწრაფად ჩნდება, ვითარდება და ადგ-

2

# ცოდვა თუ ბოროტმოქმედება?

3

# კაცი, რომლის „კაცობამ“ სრულიად საქართველო გააოცა (გააცოფა)?!

3

# საქართველოს ეროვნული ძალების საყურადღებოდ

პირველი გვერდიდან

ილს იფართოებს მსოფლიოში ახალი ქვეყნები, ძლიერდება შედარებით ნაკლებგავლენიანი ქვეყნები და ქვეყანათა რეგიონული ჯგუფები. ერთა სისტემაში შემოდის ახალი მცირე, მაგრამ პოტენციური ერთეული – ჩეჩნეთი. უკრაინა ევროპის ერთ-ერთი სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ხდება, თურქეთმა თავისი მოსახლეობით ინგლისს და საფრანგეთს გაუსწრო. მეორე მხრივ, ერთიანი სახელმწიფოებრივი აპარატისა და ერთიანი სახელმწიფოებრივი ნების დასუსტებისთანავე ხდება არსებულ სახელმწიფოთა გახლეჩა. როგორც ეს მოხდა იუგოსლავიასა და ჩეხოსლოვაკიაში. სსრკ დაშლის პროცესში თავისუფლებამიღწეულ ქვეყნებს ეს ამოცანა განსაკუთრებით მწვავედ უდგას ძალის ამ ვაკუუმის წყალობით, რომელიც მათ რეგიონებში რუსეთის ფაქტორის წასვლის შედეგად შეიქმნა. რუსეთი ისევ და ისევ დაინტერესებულია, რომ სსრკ ყოფილი რესპუბლიკები მაქსიმალურად დეზინტეგრირებული, დაშლილი, სეპარატისტული მოძრაობებით დაყოფილი იყოს, და ამ შემთხვევაშიც მას ამ ინტერესს, ისევე როგორც მეორე შემთხვევაში, მსოფლიოში საპირწონე არ ჰყავს. ყოფილი სსრკ მოკავშირე რესპუბლიკის – ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობა და მისი სახელმწიფო აპარატის ქმედუნარიანობა მხოლოდ თვით მისი ამოცანაა, მხოლოდ მისსავე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ნებაზე, ამ უკანასკნელის სიძლიერესა და მისი მოქმედების სიბრძნეზეა დამოკიდებული.

შევარდნაძისა და მისი მომხრე დღევანდელი პარლამენტის ხელისუფლებას არც ერთი ამ ამოცანის გადაჭრა არ ძალუძს. როგორც რუსეთის ყურმოჭრილი მარიონეტები, ისინი ვერასოდეს დაალწევენ თავს რუსეთის პოლიტიკის ფარვატერში დგომას, მაშასადამე, ვერასოდეს გადადგამენ რუსეთის ინტერესებიდან განსხვავებულ ნაბიჯს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ შეესაბამება დემოკრატიული მსოფლიოს გლობალურ ინტერესს, რომელიც რუსეთისთვისაც იმპერატიულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ხელში

ა) საქართველო მიბმული იქნება დამარცხებისათვის განწირული მსოფლიო ძალის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე, ამ ძალასთან ერთად საქართველოც წააგებს და იგი ვერასოდეს დაიმკვიდრებს მომგებიან ადგილს ვერც რეგიონულ, ვერც მსოფლიო სივრცეში.

ბ) საქართველო ვერასოდეს გახდება მსოფლიო პოლიტიკის დამოუკიდებელი სუბიექტი, იგი ამ პოლიტიკის მხოლოდ ობიექტი იქნება, ანუ იგი იქნება ეროვნული ინტერესების დაცვის უნარს მოკლებული დაქსაქსული ავტონომიზირებული ტერიტორია, რომელზედაც არასოდეს შესრულდება ისტორიულმასშტაბიანი ინტერესებით ნაკარნახევი ეროვნული ნება; შევარდნაძის და მისი პარლამენტის ხელისუფლების პირობებში საქართველოში განუხრელად გატარდება ტექნოლოგიურ სამრეწველო მოწინავეობაზე ორიენტირებული ძალისხმევის უარყოფის და საკუთარი წარმოების ჩახშობისკენ მიმართული ეკონომიკური ნგრევის პოლიტიკა. იქნება ყოვლისმომცველი უმუშევრობა. მოხდება საქართველოს მიწის და მისი სიმდიდრის სრული გადასვლა უცხოელთა ხელში და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ფინანსური და სხვა რესურსების სრული დატაცება სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მაფიების მიერ. დასასრულ, მოხდება საქართველოს გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული შევიწროება ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მეზობელი ქვეყნების მიერ. საქართველოს მკვეთრი და მზარდი ჩამორჩენა მათგან ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სტრატეგიული, დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური სიჯანსაღის მხრივ შექმნის ობიექტურ წანამძღვრებს მისი ობიექტური (იურიდიულად გაფორმებული) დაშლისათვის და მისი ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ დაყოფისათვის სხვების მიერ.

თქმულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი შევარდნაძისა და პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობის მოცილება საქართველოს სახელმწიფოს საჭისაგან ქართველი ერის სასიცოცხლო აუცილებლობაა. ქართველი ერისთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა ქართველ ერში იმ პოტენციური მმართველი მებრძოლი და მშრომელი გუნდის შეკრება (ორგანიზაცია) და საქმით გამოჩენა, რომელსაც ქართველი ხალხი ენდობა და გვერდით ამოუდგება.

ჩვენ, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, ვხელმძღვანელობთ რა იმ რწმენით, რომ საქართველოს ეროვნული ძალები ვალდებულნი ვართ საზოგადოების წინაშე წარმოდგენილი გვქონდეს მეცნიერულად გააზრებული კონცეფცია ყველა იმ მთავარი პოლიტიკური და პრაქტიკული საკითხისა, რომელიც დღეს საქართველოს წინაშე დგას, და კონკრეტული სამუშაო გეგმა სათანადო სფეროში, აგრეთვე გვყავდეს კომპეტენტური და ერთგული კადრები სახელმწიფოს გაძღოლისთვის ყველა დარგში (რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება, საქართველოს ხელისუფლების შეცვლის ლოზუნგი წამოვაყენოთ მისი არასანდოობის, უუნარობის თუ კორუმპირებულობის გამო), ვაქვეყნებთ ზემოხსენებული პრობლემების (არასრულ) ჩამონათვალს და მოვუწოდებთ ყველა იმას, ვინც თავს კომპეტენტურად თვლის, აგრეთვე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და აკადემიურ ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ ჩამოთვლილი თემები და თავისი შესაძლებლობებისდა კვალად ითანამშრომლონ ჩვენთან ზემოხსენებულ საკითხებზე მეცნიერულად გამართული კონცეფციების შემუშავებაში და მათ პრაქტიკულ განხორციელებაში.

ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფციები საქართველოს პოლიტიკისა ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში თანდათან გამოქვეყნდება გაზ. „საქართველოში".

**ნოდარ ნათაძე**

# ქართული პოლიტიკის ძირითადი საკითხები

## რომლებზედაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოეთხოვება მეცნიერულად გამართული კონცეფციისა და, კონკრეტული სამოქმედო პროგრამის ქონა, აგრეთვე ამ პროგრამის შემსრულებელი მომზადებული კადრის ყოლა

1. აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა. აფხაზეთის მომავალი ტერიტორიული და პოლიტიკური მოწყობა.
2. შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა.
3. საქართველოს სახელმწიფოტერიტორიული მოწყობა
4. საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი ჩიხიდან გამოყვანა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ოპტიმალური მიმართულება და ამ მიმართულებაზე მისი დაყენების გზა. დროებითი (დაუყოვნებლივ გასატარებელი) ღონისძიებები და მუდმივი პოლიტიკა ამ სფეროში.
5. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვა (დასაქმების ორგანიზაცია, არსებული რესურსების განაწილება, საგარეო დახმარების მოპოვებისა და განაწილების ორგანიზაცია).
6. საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა (დაფინანსების წყაროები, პროფესიული და სავალდებულო სათავდაცვო სამსახურის წესით დაკომპლექტებული ჯარის თანაფარდობა, ნამდვილი და ალტერნატიული სამსახურების წესი, წესდებათა პრინციპები, აღჭურვის პრინციპები და წყაროები, სამხედრო დოქტრინის პრინციპები, სათავდაცვო სამსახურის სოციალური ბაზის უზრუნველყოფა (შეღავათები, სანქციები და ა.შ.).
7. საქართველოს პოლიციის მშენებლობა (დაფინანსების წყაროები, დაკომპლექტება, სტრუქტურა, კადრების მომზადება, ძველი და ახალი კადრების შეფარდება და მათი ერთობლივი მოქმედების ორგანიზაცია).
8. საქართველოს საგარეო პოლიტიკა (დასავლეთის მიმართ, რუსეთის მიმართ, სხვა მეზობლების მიმართ, ჩრდილოკავკასიელთა მიმართ).
9. პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების მიმართ
10. პოლიტიკა რელიგიის სფეროში
11. პოლიტიკა განათლების სფეროში
12. პოლიტიკა მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის სფეროში
13. პოლიტიკა ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის სფეროში
14. პოლიტიკა დემოგრაფიის სფეროში
15. პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში

# მეფე ხომ შიშველია?!



დღევანდელი პოლიტიკა სენსაციების პოლიტიკაა. ჩვეულებრივი დღეები ჩვენი ხალხისათვის უკვე აღარ არის საინტერესო. ან გენოციდის შემსრულებელი არძინბა უნდა ჩაეხუტოს ქართველებს, ან ვიღაც მაღალი თანამდებობის პირი უნდა ამხილონ კორუფციაში, შეიძლება ყოვლისშემძლე ადვოკატიც მოეძებნოთ, ვისაც ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენის დღის სინათლეზე გამოყვანა ხელეწიფება. ნორმალური ცხოვრება აღარავის აღარ აინტერესებს. სულ სენსაციები და სენსაციები უნდა განებივრებულ ქართველ „პოლიტომანს".

ახლა კიდევ ერთმა სენსაციურმა განცხადებამ იხილა მზის შუქი: შევარდნაძეს თურმე იმავე დღეს სცოდნია ვინ მოკლა გია ჭანტურია. ამ განცხადების ავტორი ჯაბა იოსელიანი გახლავთ, რომელიც, ეტყობა, ციხეში დროს ტყუილად არ კარგავს და იმ კახელისაგან განსხვავებით, ცნობილი ანეკდოტის მიხედვით, კედელს რომ ურტყამდა თავს „გაიხსენე ვიროო...", მშვენიერად იხსენებს წარსულ ამბებს.

სენსაცია რისი სენსაციაა, თუ გაკვირვება არ გამოიწვია. გაკვირვებას კი, მოგეხსენებათ, კითხვები მოსდევს. ჰოდა, იბადება „მწვალებლური" კითხვები.

**მწვალებლური კითხვა I:** მაინც რა მიზნით უნდა ეთქვა ე.შევარდნაძეს ჯაბა იოსელიანისათვის, რომ მან იცოდა, მკვლელი ი.გიორგაძე რომ იყო?

არავისთვის არის საიდუმლო, რომ ე.შევარდნაძე ფრთხილი პოლიტიკოსია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ეს თვისება საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული. ნუთუ ასე ენდობოდა იმ კაცს, რომელიც ტელეეკრანებზე თუ გაზეთის ფურცლებზე არცთუ კონტროლირებად აზრებს ანვითარებდა.

**მწვალებლური კითხვა II:** განა გამორიცხულია, რომ პრეზიდენტი დაინტერესებული იყო ჯაბას რეაქციით ასეთ სიტუაციაში?

ეს მწვალებლური კითხვა იმით არის საინტერესო, რომ ე.შევარდნაძის ფსიქოლოგიური მანევრები საკმაოდ ცნობილია და ასეთი „ფანდიც" არ იქნებოდა მისგან გასაკვირი.

**მწვალებლური კითხვა III:** რატომ თავის დროზე არ მიიღო სათანადო ზომები თვით ჯაბა იოსელიანმა, თუ ასე შესტკიოდა გული გია ჭანტურიაზე?

ისიც ვიცით, რომ ბატონი ჯაბა საკმაოდ გაბედული მოქმედებებით გამოირჩეოდა, რასაც ბევრჯერ მისთვის სასარგებლო შედეგები მოუტანია ექსტრემალურ სიტუაციაში. მაშ, რატომ არ გამოიყენა ასეთი საჭირო ინფორმაცია ჯაბამ შევარდნაძის საწინააღმდეგოდ, თუ ის ენდობოდა შევარდნაძეს უსაზღვროდ?

**მწვალებლური კითხვა IV:** რამ გამოიწვია ბატონი გელა ნიკოლაიშვილის გაკვირვება. ჯერ არ ყოფილა მსოფლიო (ანდა საქართველოს, თუნდაც თვით პრეზიდენტის) პრაქტიკაში ასეთი პრეცენდენტი?

რამდენიც გნებავთ. მაგალითების მოყვანით თავს არ შეგაწყენთ. მკვლელობაში ეჭვმიტანილისათვის გენერალ-ლეიტენანტის წოდების მინიჭება სულაც არ ნიშნავს, რომ პიროვნება ყველასაგან ხელშეუხებელი ხდება. განა თვით შევარდნაძემ არ მოუხსნა ჩვენს, სამწუხაროდ ცნობილ, დიპლომატს იმუნიტეტი? რისთვისაც, კაცმა რომ თქვას, ძალიან დიდი საჭიროება არ არსებობდა (ეს ახლანდელმა მოვლენებმაც დაგვანახა იმ ბულგარელის მაგალითზე).

**მწვალებლური კითხვა V:** რისთვის შეკრიბა ეს თათბირი შევარდნაძემ, რომ ეჭვმიტანილ გიორგაძისათვის გაეცნო, თუ რა გზებით აპირებდნენ მის დაჭერას? ამ მწვალებლურ კითხვას კომენტარის გარეშე დავტოვებთ.

დაბოლოს, მწვალებლური კითხვა VI: როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უაზროდ სენსაციური ამბები. ყველას რაღაც სასწაული მასალები აქვს და მის გამომზეურებას გარკვეული მოსაზრებით ერიდება, ყველა სენსაციურ განცხადებებს აკეთებს და მის დასაბუთებაზე არ ზრუნავს. გასკდა თავი, ბატონებო! ისე აირია ყველაფერი ერთმანეთში, რომ ხანდახან მწვალებლური კითხვები კი არა, აზრები მოდის: შევარდნაძემ თავიც „ზაკაზად" აიფეთქა, ჯაბაც ძმაკაცობით ჩასვა, სარიშვილიც სპეციალური „ახლობლობით" უკეთებს კთარგამაძეს დისკრედიტაციას და ყველანი ერთად ხალხს ურევენ თავგზას, რათა ვერავინ მიხვდეს, რა ხდება სინამდვილეში. რას იზამ, ვერაფრით ვერ მოიშორებ მწვალებლურ აზრებს.

ქართველებს უკვე ეტყობათ, რომ უკვე დაკარგეს პოლიტიკისადმი ინტერესი. ყველა შეეჩვია პოლიტიკური სცენის ამ ბატალიებს. აღარავის აღარაფერი უკვირს და არც სჯერა. მგონი, ყველა ხედავს, რომ მეფე შიშველია, მაგრამ აღარც არავის უნდა თქვას.

**გელა ეზანოიძე**

# „პოლიტიკური დუალიზმი"

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე, ფრაქცია „აფხაზეთი"-ს სახელით გამოსულმა ფრაქციის ლიდერმა გერმანე ფაცაციამ განუცხადა პარლამენტარებს, რომ აფხაზეთის დეპუტაცია არ ესწრება და არც მომავალში დაესწრება სხდომებს, რადგან, მისი თქმით, აფხაზეთთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული სამი დადგენილებიდან არცერთი არ შესრულებულა. პარლამენტის მდგომარეობას, ამის ფონზე, გ.ფაცაციამ პოლიტიკური დუალიზმი უწოდა. იგი თვლის, რომ სამივე დადგენილების მიღების დროს პარლამენტმა პრეზიდენტის საწინააღმდეგო ნაბიჯები გადადგა. მისივე თქმით, პარლამენტის ავტორიტეტისათვის უმჯობესი იქნებოდა არცერთი დადგენილება არ მიეღო, რადგან მისი თქმით, თურმე უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ განცხადებას უფლება აქვს იგნორირება გაუკეთოს პარლამენტის სამივე დადგენილებას. ფრაქციის ლიდერმა მოუწოდა თავის კოლეგებს, აღარ მიიღონ მეოთხე, მეხუთე და ა.შ. დადგენილებები. (იფრინდა)

## ოპოზიცია კრიტიკულად აფასებს ქვეყნის პოლიტიკურ პერსპექტივებს

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ოპოზიციური, კომიტეტების თავმჯდომარეებმა თავის გამოსვლებში კრიტიკულად შეაფასეს ქვეყნის პოლიტიკური პერსპექტივები, რომლებზე საუბრითაც საშემოდგომო სესია გახსნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ფრაქცია „სახალხოს“ ლიდერის მამუკა გიორგაძის აზრით, პარლამენტი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ჭეშმარიტად დემოკრატიულ საკანონმდებლო ორგანოდ.

ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი თვლის, რომ ქვეყანაში ანტირეფორმისტული პოლიტიკა ტარდება ჯანდაცვის, განათლების და სოციალურ საკითხებში. მისი აზრით, ამაში აღმასრულებელ ხელისუფლებას „პარლამენტიც“ უწყობს ხელს ნაწილობრივ“.

„ამ სფეროებში რეფორმების გატარება სწორედ პარლამენტმა უნდა ითაოს“, – თქვა ნათელაშვილმა. მისი აზრით, პარლამენტმა თავისი სიტყვა უნდა თქვას ქვეყნის სამხედრო უწყებასა და მთლიანად ძალისმიერ სტრუქტურებში გამეფებულ განუკითხაობასთან დაკავშირებით.

ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატების“ თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ თავის გამოსვლაში თქვა, რომ ქვეყნის ხელისუფლება განზრახ ცდილობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების ჩატარების ვადების გადადებას. მისივე თქმით, არაა გამორიცხული, რომ ამ შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების არჩევნები შეიძლება ერთი წლითაც გადაიდოს, რადგან ხელისუფლება არ ისურვებს არჩევნების ჩატარებას მძიმე ზამთრის შემდეგ.

სარიშვილი-ჭანტურიამ საპარლამენტო უმრავლესობა და „არაკონკურენტუნარიანი“ ოპოზიცია ალიანსის შექმნაში დაადანაშაულა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ამით „უმრავლესობას არჩევნების წინ მოძლიერება სურს, ხოლო არაკონკურენტუნარიან ოპოზიციას იმ ადგილების განაღდება, რომელთაც წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, უბრალოდ, ვერ მიიღებს“ – თქვა სარიშვილი-ჭანტურიამ. (პრაიმ-ნიუსი)

## „სომალელმა დევნილმა ქართული ისწავლა, ვარდიკომ კი – არა“

განაცხადა ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ლიდერმა გერმანე ფაცაციამ და დასძინა, რომ „სულ ტყუილად ველით ვ.ნადიბაიძის მიერ აშენებულ არმიას. არცერთ საქმეში ჩვენ იგი არ გამოგვადგება და არც არავინ ახსენებს, რადგან მისი რუსულ-იმპერიული მისია გრძელდება, დღევანდელი ხელისუფლება კი, სწორედ ვ.ნადიბაიძისთანებს ემყარება. ჩემში კი იგი სამშვიდობო ძალებთან ასოცირებას იწვევს“. (იფრინდა)

## საქართველოში რეგისტრირებულია 145 ათასი უმუშევარი

საქართველოში შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობამ 145 ათასი კაცი შეადგინა, რაც შარშანდელთან შედარებით, 2,5-ჯერ არის გაზრდილი. უმუშევართა 87% უმაღლესი განათლების მქონეა. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტის თავ-რემ კ.ლლონტმა. მისი თქმით, ყველა მეწარმე ვალდებულია სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს.

კ.ლლონტის ინფორმაციით, რეგისტრირებული უმუშევრებიდან, 1997 წელს დასაქმდა 2700 კაცი. უმუშევართა მხრიდან მოთხოვნილება უმთავრესად დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზეა.

მომზადდა კანონპროექტი „დასაქმების შესახებ“, რომელიც პარლამენტს წარედგინება განსახილველად. (იფრინდა)

# ცოდვა თუ ბოროტმოქმედება?

დღევანდელი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ადამიანი ხშირად საკუთარ თავში იკეტება და ვერ ახერხებს შინაგანი კონფლიქტის გადაჭრას, რასაც თან ახლავს დაძაბულობა, გაურკვევლობა და ხშირ შემთხვევაში ადამიანი თვითმკვლელობამდე მიდის.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პროკურატურაში გვითხრეს, ბოლო სამ წელიწადში (1994–96 წწ.) შიდა ქართლის მხარეში რეგისტრირებულია თვითმკვლელობის 34 და თვითმკვლელობის მცდელობის 11 ფაქტი. აქედან მხოლოდ 4 შემთხვევაა ჩადენილი ფსიქიურად დაავადებულთა მიერ.

წელს პირველ ექვს თვეში ქგორსა და გორის რაიონში რეგისტრირებულია 6 თვითმკვლელობა და 1 თვითმკვლელობის მცდელობა. ექვსიდან ერთი ფსიქიურად დაავადებული იყო. სამი შემთხვევა არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღით არის ჩადენილი.

პროკურატურაში საუბრისას გაირკვა, რომ ეს მონაცემები შეიძლება ზუსტი არ იყოს, რადგან თუ პოლიციაში შეტყობინება არ შევიდა ან გვამი საავადმყოფოში არ გადაიგზავნა, შეიძლება პროკურატურას მონაცემები არ ჰქონდეს, რადგან გარდაცვლილის ოჯახის წევრები ხშირად ცდილობენ ამგვარი ფაქტების დამალვას. ამაში ჩვენც დავრწმუნდით, რადგან პროკურატურას არ ჰქონდა მონაცემები იმ თვითმკვლელობებისა, რომელთა შესახებაც ქალაქის მოსახლეობამ კარგად იცის. არ შეიძლება, არ დაგვებადოს კითხვა: სამედიცინო-საექსპერტო კომისიის დასკვნაში აღინიშნება თუ არა გარდაცვალების მიზეზი და თვითმკვლელობის შემთხვევაში ვალდებულნი არიან თუ არა, აცნობონ პროკურატურას?

მმაჩის განყოფილებაში ამ კითხვაზე გვიპასუხეს, რომ გარდაცვალების ცნობა გაიცემა ექიმის ან საექსპერტო კომისიის ცნობის საფუძველზე, ამ ცნობის გაცემა კი შეუძლიათ ნებისმიერ საავადმყოფოში, სამშობიაროში ან პოლიკლინიკაში.

ჯანდაცვის განყოფილებაში ეს ფაქტი დაადასტურეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვალება საავადმყოფოში ან რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მოხდა. ამ დროს სამედიცინო დასკვნაში აუცილებლად იწერება გარდაცვალების მიზეზი და დიაგნოზი. მაგრამ თუ გარდაცვალების შემთხვევას ბინაზე ჰქონდა ადგილი, აქ აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ცნობა.

ექსპერტმა აგვიხსნა, რომ ცნობაში სიკვდილის მიზეზი იწერება იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებულია გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა, მაგრამ სიკვდილის სახეს ადგენს გამომძიებელი და არა ექსპერტი. სწორედ გამომძიებელმა უნდა დაადგინოს, მოხდა თუ არა თვითმკვლელობა. თუმცა ჭირისუფალს თუ არ სურს, თურმე გამომძიებელი გვამს ვერ გააკვეთინებს. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მეექვსე თავის 71-ე მუხლში აღნიშნულია: „ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის დასადგენად“. მეთვრამეტე თავის 184-ე მუხლში კი წერია: „თუ გამომძიებელმა საჭიროდ ცნო ექსპერტიზის ჩატარება, იგი შეადგენს ამის შესახებ დადგენილებას, რომელშიც აღნიშნავს ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს“.

როგორც ირკვევა, თვითმკვლელობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში დანაშაული მოხდა თუ მართლა თვითმკვლელობას ჰქონდა ადგილი, ეს გამომძიებლის ინტუიციაზე და ნიჭზეა დამოკიდებული, მაგრამ ქართული ხასიათის გამო, შეიძლება გამომძიებელმა (ისიც ხომ ადამიანია!) ძალა ვერ დაატანოს ჭირისუფალს გვამის გაკვეთაზე.

მაშ, ვინ უნდა გაარკვიოს, რომ თვითმკვლელობის სახელით უფრო დიდი დანაშაული არ დაიმალოს? ვინ არის დაინტერესებული იმით, რომ თვითმკვლელობის ყველა შემთხვევა არ აღირიცხოს? ცხადია, სახელმწიფოში, სადაც ყველაფერი წესრიგშია და ადამიანებს შინაგანი კონფლიქტის დაძლევა არ უხდებათ, თვითმკვლელობები იშვიათად ხდება, ხოლო როცა ამას მასიური ხასიათი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის სულიერი მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს არის მისული. ამ საკითხზე უფრო უკეთ ფსიქოლოგებს შეუძლიათ გვესაუბრონ. სამართალდამცავი ორგანოები კი უნდა დაფიქრდნენ, რათა გამოინახოს საშუალება, ყველა შემთხვევა აღირიცხოს და შესწავლილი იქნას. არ შეიძლება, ადამიანური სისუსტეებით კანონის შესრულების უგულვებელყოფა. ეს პრობლემები დაყოვნებას არ ითმენს, რადგან ხვალ უკვე გვიან იქნება.

**ვასილ გულეური**

# კაცი, რომლის „კაცობამ“ სრულიად საქართველო გააოცა (გააცოფა)?!

*...ბევრი რამ ხდება ჰორაციო ამ ქვეყანაზე, რაიც ბრძენ ფილოსოფოსთა არცკი დასიზმრებიათ.*

*უ.შექსპირი*

ხელში მიჭირავს გაზეთი, რომლის გვერდიდან ვაჟკაცური სახის ახალგაზრდა კაცი შემომყურებს. იგი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, მოაკლდა შვილებს, მეუღლეს, ნათესავებს, მეგობრებს. ზურაბ ჯაფარიძე მთაში უბედურმა შემთხვევამ შეიწირა. ამ გაზეთსაც, ახლა რომ ხელში მიჭირავს, სახელად ზურაბ ჯაფარიძე ჰქვია და მისი თექვსმეტივე გვერდი მას ეძღვნება. გაზეთი – მოგონება, გაზეთი – გახსენება. მერე და კარგიო, იტყვი, მკითხველო, აფერუმ მაგის გამკეთებელს. ჰოდა, მეც ზუსტად ამ გაზეთის რედაქტორზე მინდა მოგითხროთ, „კაცურ“ კაცზე, რომელსაც ელგუჯა მარღიას ეძახიან.

მოგეხსენება, მკითხველო, გაზეთის გამოშვებას გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. ჰოდა, ელგუჯამაც შეიპირა ზურაბ ჯაფარიძის მეგობრები და ორგანიზაციას შეუდგა. გაზეთი აეწყო, დაკაბადონდა და 1997 წლის იანვარში დაიბეჭდა კიდევაც 3000 ცალი. კომპიუტერულ ცენტრშიც და სტამბაშიც გაგებით მოეკიდნენ საქმეს და (რადგან „ბატონი“ ელგუჯა მიცვალებულის ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე ხშირად ლაპარაკობდა) შესრულებული სამუშაოს შემდგომ ანაზღაურებაზე დათანხმდნენ. „პატივცემულ ჭირისუფალს“ 160 ლარი კომპიუტერული ცენტრის მართებდა, 300 ლარი კი – სტამბისა სტამბის მეპატრონემ, რომელიც ზ. ჯაფარიძეს ნამდვილად იცნობდა და პატივს სცემდა, მხოლოდ ბეჭდვაზე გახარჯული ქაღალდის საფასური მოსთხოვა „პატივცემულ“ რედაქტორს (ისე, 16 გვერდიანი გაზეთის 3000-იანი ტირაჟით დაბეჭდვა 600–700 ლარი უნდა დაჯდომოდა). „ბატონმა“ ელგუჯამაც მტკიცე ფიცი მისცა და... გაუჩინარდა. 8 თვე გავიდა მას შემდეგ, და მხოლოდ ახლა გამოიტანა ამ პატიოსანმა ხალხმა, რომელიც „ბატონ“ ელგუჯას კაი საქმეში დაეხმარა, დასკვნა – თურმე „მადლი ჰქნი, ქვას დადევი“ ყოველთვის არ ამართლებს ანდაზის შინაარსს. „ბატონი“ რედაქტორისადმი რამოდენიმეჯერ მიმართვის შემდეგ თანხის ანაზღაურების შესახებ კომპიუტერული ცენტრის და სტამბის მესვეურები დარწმუნდნენ, რომ მწარედ პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ. მაგრამ მხოლოდ ისინი?

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ზაურ კალანდია, რომელმაც გამოსცა და ელგუჯა მარღიას – „კარგ ქართველს, ნიჭიერ პოეტს, სიმპატიურ პიროვნებას“ სარეალიზაციოდ ამ უკანასკნელის წინადადებით სამეგრელოს რეგიონში გაატანა „აფხაზეთის სისხლიანი დღიურები“. მას შემდეგ ზის ბატონი ზაური და ელოდება თავის კუთვნილ 1000 ლარს (მარღიამ კი იმ ათასი ცალი „დღიურიდან“ სამიათასი ლარი გააკეთა, როგორ? – ჩვეულებრივად, თითო ცალი 3 ლარად დაჰყიდა). ვინ იცის, კიდევ რამდენი ელგუჯა მარღიასაგან „აშენებული“ და მისი „კაიკაცობაში“ დარწმუნებული ადამიანის მოძებნა შეიძლება. ამ მხრივ მარტო „ცისკარში“ მისი მოღვაწეობის პერიოდიც საკმარისი იქნება. ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, ამ „ალალი“ კაცისაგან დაზარალებული ხალხის შესახებ ალალად შეიძლება ითქვას, რომ – „სახელი მათი ლეგიონებია“. მაგრამ წინამდებარე ოპუსში ჩვენ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა და საოცარი ფაქტები გამოამზეურა. ელგუჯა მარღიას ამ 8 თვის მანძილზე მიცვალებულის ოჯახიდან იმ მოტივით, რომ, თურმე, კომპიუტერული ცენტრი და სტამბა „ახრჩობენ“, წაღებული აქვს ერთხელ 200, მეორედ 300 ლარი და შემდეგ უკვე ზურაბ ჯაფარიძის ახლობლების მიერ გაზეთის რეალიზაციის შედეგად შემოსული 527 ლარი! წაღებულიც აქვს და კარგა გემრიელად შეჭმულიც. ეს „პატიოსანი“ ადამიანი, რომელმაც ობლები და ქვრივი არ დაინდო (იგი მიცვალებულის მეჯვარე გახლავთ), ეს „ალალი“ მეგობარი, გაზეთის გამოცემაზე დახარჯული 460 ლარის გასტუმრების შემდეგაც „უტეხავდა“ ჭირისუფლებს საკმაო თანხას (587 ლარი). მაგრამ, მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდისო და 587-ს, 1027 ლარი ამჯობინა. ჰოდა, დადის დღეს თბილისის ქუჩებში „ღვთისნიერი“ მეგობარი, დადის სამსახურში („ბატონი“ ელგუჯა ტელევიზიის პროგრამის „50/50“ თანამშრომელი გახლავთ), და, ალბათ, გულში ოცნებობს: ღმერთო, ნეტაი ერთი-ორი ასეთი გაზეთი კიდევ გამომაშვებინაო.

–ღმერთო, შენ დაიფარე ყველა ქართველი ასეთი ჭირისუფლისაგან...

**კობა კიკნაძე**

*P.S. წინამდებარე წერილი ავტორის იმ აზრის ნაყოფია, რომ ერმა უნდა იცოდეს თავისი „სასიქადულო მამულიშვილების“ სახელები.*

*P.P.S. ჰოდა, ნუ დაეთანხმები ჰამლეტს – „ბევრი რამ ხდება ჰორაციო...“*

# გამათხოვრებულ საქართველოში ერთ-ერთი მათხოვარი მეც ვარ

## მოკლე ღია ბარათი საქართველოს პრეზიდენტს ედ. შევარდნაძეს

*უფალო რედაქტორო!*

*იცის ღმერთმა, თქვენი შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ, რა ვქნა, თუკი „ჩემი" პრესა ამ „მოკლე ღია ბარათის" გამოქვეყნებას გაურბის, ალბათ, იმ საბაბით, ვაითუ ადრესატს არ ესიამოვნოს და საწყენად დარჩესო...*

*მე კი მგონია, ჩემს ამ ნაწერში არავითარი ეთიკური ნორმა დარღვეული არ არის, და თუ აქა-იქ შორეული წარსულიდან ზოგიერთ შტრიხს ვიგონებ, ამით თითქოს ბევრი არაფერი შავდება, რადგან იმხანად ბატონი ედუარდი იმ არაღმერთის მსახური იყო, რომლისაც გუნებაში ცოტა რამ თუ სწამდა, ახლა კი ისეთ ღმერთს ემსახურება, რომელიც გულით სწამს, და ეს არის სამშობლო, საქართველო...*

**კიტა ბუაჩიძე**
28 აგვისტო, 1997 წელი.

ბატონო ედუარდ!

უზომო სიამოვნებას მანიჭებს მოგილოცოთ ქალბატონ ჟაკლინ კენედის ყოფილი თანამეცხედრის, აწ განსვენებული ალექსანდრე ონასისის სახელობის პრემია – 250 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით.

დაე, ეს თანხა კეთილად შემატებოდეს თქვენს „აღორძინების" ფონდს, ასე გონიერულად რომ აგვარებს ბევრ საქვეყნო-საერო საქმეს: თუ წიგნებს სტამბავს, თუ დასავლეთ ევროპაში ღირსეული მოქალაქეებისათვის უძნელეს სასიცოცხლო ოპერაციებს აფინანსებს, თუ ზოგიერთ წყალს მონატრებულ სოფელში წყაროს ამოაჩუხჩუხებს...

სიმდიდრის მიხედვით თქვენ, როგორც ყური მომიკრავს, საქართველოში მეცამეტე კაცი ბრძანდებით.

სამწუხაროდ, მე არ ვიცი, თქვენს წინ მდგომნი ვინ არიან და რანი არიან, რა გზებით და რა მანქანებით გამდიდრდნენ (ამბობენ, ერთს უთქვამს, დეიდაჩემმა სოფლად მამალი ინდაური გაყიდა და ღირებულება მე მისაჩუქრაო, და ასე, ამგვარად, ჩაეყარაო ბალავარი ჩემს „ქონება უთვალავიას" (ჟერისთავი), ოღონდ ეს კი ვიცი, რომ თქვენ სიმდიდრე მოგიტანათ „ჩემმა არჩევანმა", რომელიც რუსულიდან რამდენიმე ევროპულ ენაზე ითარგმნა.

დიახ, ასე რომ, ჩემს გონებას მიახლოებითაც არ ეკარებიან 1996 წლის 7 მარტის გაზეთ „Советская Россия"-ში მანდილოსან ჟურნალისტის, კლარა აბრამიას მიერ „გამომზეურებული" მტკიცებანი:

„...შევარდნაძის ყველაზე მძაფრ მტრებსაც არ შეეძლოთ დაეყვედრებინათ ფულის სიყვარული. რესპუბლიკის მეთაურისთვის ბოლო ორ წელიწადში ეს ლეგენდა გაქრა. უფრო და უფრო ხმამაღლა ვრცელდება ხმები შევარდნაძის აურაცხელ სიმდიდრეზე – მის მამულებზე გერმანიაში, აპარტამენტებზე საფრანგეთში და რუსეთში, რამდენსამე სახლზე და აგარაკზე საქართველოში, მილიონებზე შვეიცარულ ბანკში და სხვა".

რა დაგიმალოთ, ცოტა არ იყოს მაკვირვებს კლარა აბრამიას დღევანდელი პოზიცია, მეტამორფოზა, აკი რამდენიმე წლის წინათ იგი ხომ ერთ-ერთი პირველი მიესალმა თქვენს დაბრუნებას საქართველოში: 1992 წლის მაისში მან თბილისში გამოსცა საკუთარი გაზეთი „თუთარჩელა", რომლის მეორე გვერდზე, მთლიანად ერთ გვერდზე მოთავსებულია თქვენი სურათი, თითქოსდა მომღერალთა ანსამბლის დირიჟორის პოზაში, მის ქვემოთ კი იკითხება დიდასოებიანი წარწერა:

*„სრულიად საქართველოს ეულოცავთ ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას სამშობლოში".*

სურათის ზემოთ კი მოყვანილია ილიას სიტყვები, რომლებიც, ცხადია, გეძღვნებათ თქვენ:

„მხოლოდ დიდ-ბუნებიანათა კაცის თვისებაა... თუ საჭიროება მოითხოვს შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად ულირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე".

ჰოდა, თუკი ასეთი ღვთისნიერი კაცი ბრძანდებოდით, რომ ჭეშმარიტებისათვის სიცოცხლესაც დასთმობდით, ამის მომდევნო ოთხ წელიწადში ისეთი რა მოხდა... არა, უფრო უბრალოდ და გასაგებად თუ ვიტყვი, ისეთი *რა აწყენინეთ* კალმოსან ქალბატონს, რომ „Советская Россия"-ში (მართო სათაური რად ღირს: „საბჭოთა რუსეთი") პირდაპირ ხატზე გადაგცათ..

ო, საერთოდ, პრეზიდენტებიც კი, ადამიანებთან ურთიერთობაში ძალზე ფრთხილნი უნდა იყვნენ. აი, მაგალითად, საწყალი ბილ კლინტონი: მის მიმართ საჩივარს ახლა ამერიკის ყველაზე მაღალი ორგანო – უზენაესი სასამართლო იხილავს; პრეზიდენტს უჩივის ქალი, რომლის მიმართ 12 წლის წინათ, გუბერნატორობისას, კლინტონმა სექსუალური ძალადობა... კი არ იხმარა, დაუპირა თურმე...

ჰოდა, ამ ფაქტს თუ არაფაქტს არჩევს ამერიკის მთავარი სასამართლო მთელი სერიოზულობით და მთელი იურიდიული ატრიბუტიკის მოშველიებით და ყურად არ იღებს ახლაც ლამაზი პრეზიდენტის სასოწარკვეთილ წამოძახილს: „მომაშორეთ თავიდან ეს აშარი დედაკაცი!.."

დასანანია, რომ არც ეს „აშარი დედაკაცი" და არც ამერიკის უმაღლესი მოსამართლენი არ იცნობენ ერთ ძველ ქართულ სიბრძნეს: კარგი ქალი არც მოგცემს და არც გაგცემსო...

დიახ, ამას ეძახიან ამერიკაში ადამიანის უფლებათა დაცვას და ჩვენც გვმოძღვრავენ და გვავალდებულებენ, მაგალითად, არა ხაეჭვო კაცის მკვლელს, ძიებისას, სიგარეტი მივაწოდოთ და ყავა მოვუდუღოთ..

რაც აქამდე წაიკითხეთ, ეს პრეამბულა იყო. ამბავი ამ წერილის მოწერის მიზეზისა აწი იწყება.

არა ყველასათვის, მაგრამ ძალზე ბევრისათვის, დღევანდელ გამათხოვრებულ საქართველოში ერთ-ერთი მათხოვარი მეც ვარ.

ამ ორიოდე წლის წინათ თქვენ ბრძანეთ, ხუთი-ათი წლის შემდეგ საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნებაო. თუ დააკვირდებით, აღთქმული ნატვრის განხორციელებისათვის აქ შუალედი ერთობ დიდია (ხუთი – ათი!), ოთხი-ხუთი წელიც რომ იყოს, ჩემს ასაკში ესეც ბევრია, რაღაც სასიკეთოს რომ კიდევ მოვესწრო, მით უმეტეს, რომ „ცნობილი პოეტი" შოთა რუსთაველი, მისთვის ჩვეული გენიალობით გვაფრთხილებს":

„სცთების და სცთების სიკვდილსა
ვინ არ მოელის წამისად".

ჩემს მათხოვრობაში თქვენს მიმართ მე მათამამებს პატარა ბლოკნოტის ერთი ხელნაწერი ფურცელი, რომელიც თქვენმა აპარატმა რატომღაც მე გადმომიგზავნა, ალბათ, იფიქრეს გავახარებთო... გახარებით მართლაც გავიხარე, ოღონდ ჩემი სიხარული უფრო დიდი და ხანგრძლივი იქნებოდა, რომ ამ პატარა ბარათს რაიმე ხელშესახები შედეგი მოჰყოლოდა და იგი სულ მალე არ მივიწყებულიყო როგორც ადრესატის, აგრეთვე ადრესანტის მიერაც:

ბ-ნ კობა იმედაშვილს,

მე ყოველთვის დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალყურს ბ-ნ კიტა ბუაჩიძის გამოსვლებს, ეხლაც ასეა, ყურადღება კი ვერ მივაქციე, ვიცი, რომ უჭირდა, ალბათ ეხლაც ასეა. იქნებ მოინახულოთ, მერე ერთად შევხედეთ, თანადგომაა საჭირო.

ე. შევარდნაძე

თარიღი არ უზის, მაგრამ კარგად მახსოვს, ეს იყო წარსული წლის დასაწყისში.

დიახ, მე მიჭირს, „ეროვნულ"-გამანადგურებელი მოძრაობიდან დაწყებული, ყოველნაირად და ყოველმხრივ მიჭირს.. იყო დრო, როცა ფული ფულობდა და კილო ფხვნილი შაქარი 94 კაპიკი ღირდა, კარგა ხანს და საკმაოდ დიდხანს კრებულებში აღებულ ჰონორარს და სპექტაკლებიდან მიღებულ შემოსავალს, თითქმის მთლიანად, მრავალშვილიან ოჯახებზე ვარიგებდი ისე, რომ ვის რას ვაძლევდი, ამასაც არ ვიწერდი.

ალბათ გახსოვთ, 1982 წელს, თქვენი დავალებით, ჩემს ღარიბულ, სტუდენტურ ბინას ეწვია „პრავდის" თბილისელი კორესპონდენტი, მეტად სიმპატიური ჟურნალისტი, რომლის ჩემთვის (თითქოს!) საპატიო წინადადებას არ დავთანხმდი („პრავდის" 70 წლის იუბილესათვის მოსკოვში მზადდებოდა ფილმი, რომლისთვისაც, თქვენი არჩევით, მე უნდა მიმეცა საქართველოდან ინტერვიუ, სადაც უნდა მეთქვა არა ის, რომ ჩემი დანაზოგი ფულადი სახსრები ჩამოვურიგე მრავალშვილიან ოჯახებს, არამედ ის, რომ მე ისინი შევიტანე... თავდაცვის ფონდში! აქაოდა, საბჭოთა ქვეყანაში ყველანი დალხინებულად ცხოვრობენო).

ჩემმა უარმა თქვენ გაგანაწყენათ, შეიძლება გაგაბრაზათ კიდეც, – საბჭოთა კავშირში, აბა, რომელი რესპუბლიკის ცეკას პირველი მდივანი მოითმენდა „პატარასგან" სიტყვის შებრუნებას! – თანაც იმ ხანებში „კომუნისტმა" მოათავსა კორესპონდენცია იმის თაობაზე, ცხაკაიას რაიონში, სოფელ ხორშაში, ათშვილიან ფვენია და ნელი ღვამბერიებს (ამის შემდეგ მათ ორი შვილი კიდევ იყოლიეს და ერთს ჩემი სახელი დაარქვეს: კიტა ღვამბერია!), თუ როგორ აუშენეს ორსართულიანი სახლი, თანაც ამ სახლის ფოტოც მოათავსეს და იმ ქოხმახისაც, სადაც ღვამბერიები აქამდე საცოდავად თავს აფარებდნენ.

ყოველივე ამაზე თქვენი რეაქცია ის იყო, რომ, ალბათ, აღელვებულმა, დაურეკეთ ერთს თქვენს ხელქვეითს, მნიშვნელოვანი თანამდებობის პირს, რომლისგანაც მე პირადად მხოლოდ კარგი მახსოვს (სხვათა შორის, კლარა აბრამია თავის წერილში მასზეც ილესავს კბილებს!).. დაურეკეთ და უთხარით, რა არის, რა ამბავი ატეხეთ ამ კიტა ბუაჩიძის „პადაჩკის" გამო...

„ოი, რა სკანდალს ავცდით, – თქვა მაშინ „კომუნისტის" რედაქციის კოლეგიის სხდომაზე გიორგი ბედინეიშვილმა, ფრთხილმა რედაქტორმა და კარგმა კაცმა, – ჩვენ ხომ კიტა ბუაჩიძეზე, ამასთან დაკავშირებით, სპეციალური წერილის მიცემას ვაპირებდითო".

დიახ, „პადაჩკის" გამო.

(ცნობისათვის: გამოჩენილი რუსი ლექსიკოგრაფი ოჟეგოვი განმარტავს:

„Подачка, 1. Кусок еды, брошенный животному. 2. То, что дают кому-нибудь из милости, из снисхождения (презрительное)."

რას იზამ, ამქვეყნად არაფერი არ იმალება, დროის რბოლასთან ერთად იცვლება ცხოვრების წესიც. იცვლებიან ჩვენი ფიქრები, ძველდებიან ადრინდელი შეფასებანიც.

იმ ჩემს დროს ქველმოქმედება იძრახებოდა, ლამის საბჭოთა სახელმწიფოს შეურაცხყოფად ითვლებოდა, ახლა კი... ახლა პირველი ქველმოქმედი თქვენ ბრძანდებით, თქვენ ბრძანდებით პირველი „მეპადაჩკე", მე კი ამ „პრეზრიტელნი" „პადაჩკის" შემყურე და მომლოდინე, – გაიკითხეთ უპოვარნი და გლახაკნი, მაგრამ მე არავინ არ გამიკითხა, ჩემთვის უკვე დიდი ხანია ჩარაზულია მაგრად გამომცემლობათა კარები, გარდა „განათლებისა", რომელიც სკოლის სახელმძღვანელოებსაც ვერ აუდის; მე, ასე განსაჯეთ, ახლო ნათესავმაც არ გამიტანა... ასე, მაგალითად, ვედრების ბარათით მივმართე „კოკა-კოლას" მეთაურს, სიმდიდრით თქვენზე, ალბათ, წინ მდგომს, რომელსაც ცოლად ჩემი მკვიდრი ბიძაშვილის ქალიშვილი ჰყავს, მაგრამ... რის ნათესაობა, რა ნათესაობა, „პადაჩკად" ლარის მეასედიც არ გაიმეტეს, არადა, ამის შემდეგ დრო ბევრი არ გასულა და... ერთ მზიან დღეს წყნეთად წოდებულ აგარაკზე მათ ხუთი ნიღბოსანი მოხალისე „ფირალი" თავს დაესხა და ძვირფასეულიდან რაც მობოჭეს, ხომ მობოჭეს და ზედ 20 ათასი... სინგაპურის კი არა, ამერიკული დოლარი მიაყოლეს (20 ათასი ეს დაზარალებულთა თქმით, უფრო ზუსტად კი წარმტაცებლები დაითვლიდნენ).

...ბოდიშს გიხდით, ბატონო ედუარდ, ეს „მოკლე ღია ბარათი" ერთობ გამიგრძელდა, – გრძელი უსტარების კითხვის დრო, აბა, სადა გაქვთ ათასი საქმით და ათასი ამბით დატვირთულს, ამიტომ მოკლედ მოვჭრი: დიდი ხანია მზადა მაქვს ორი წიგნი – ხელნაწერი და რაკი, სამწუხაროდ, მემკვიდრე არავინ მყავს, გულით მინდა მათ გამოცემას ჩემს სიცოცხლეში მოვესწრო, სასიცოცხლოდაც კი დრო ძალზე ცოტაღა მრჩება, ამიტომ, ბუნებრივია, თუ ვიჩქარი.

პირველი წიგნი პუბლიცისტურ ნაწერებს მოიცავს; მასში თავმოყრილია ისეთი წერილებიც, რომელთა დაბეჭდვაზე ყოვლისმცოდნე პრესა, სიდიდის გამო, უარს მეუბნება. ერთი ამათგანია, მაგალითად, „თებერვალი, მარტი, აპრილი, აჰა, მაისიც!", რომელიც თითქმის მთლიანად ეხება თქვენს დაბრუნებას საქართველოში, ოღონდ არა კლარა აბრამიას „სტილში:

(„დიახაც „საწყალი, საწყალი" შევარდნაძე! ჯერ იყო და, დომუხოვსკიმ, მოსკოვში „დაკითხვისას", რუსული დაუწუნა, მაშინ, როცა „პამიატსაც", პეტერბურგ-ლენინგრადის „პამიატსაც" ეს არც გაუფიქრებია. ამ „ნახალოვკელმა" თუ ჩუღურეთელმა კი გაშანშალებული ორიანი მიარტყა...".

„ედუარდ პირველი ისტორიულ-ობიექტური მიზეზების გამო *დროის* მსახური იყო, ედუარდ მეორე კი, ამას დიდი არაფერი ინტუიციის განჭვრეტა უნდა, *სამშობლოს* მსახური იქნება, გულით მსახური...".

„კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს: „ო, როგორ გვიყვარს ჩვენ, ქართველებს, გამორჩეულ ადამიანთა დაკორტნა".

ჰოდა, აწი მაინც ნულარ დავკორტნით ედუარდ შევარდნაძეს, ლომკაცს, რომელიც მძიმე უღელს ეწევა და ამდენ ჭაპანწყვეტას უძლებს".

„Я очень уважаю этого человека. Это удивительно морально цельный человек. Я думаю, он играл очень важную и нужную роль в жизни вашей страны". („Литгазета", 10.07.91).

ბატონებო, ეს არ უთქვამს ალბანეთის ელჩს, ეს თქვა დიდი ბრიტანეთის ელჩმა, სერ როდრიკ ბრეითვეითმა").

ჰოდა, რაკი „თებერვალი–მაისი" და ზოგიერთი სხვა მასალაც, თქვენი, ასე ვთქვათ, მაღიდებელია, თქვენი ჩარევით ჩემი

გაგრძელება მე-5 გვ.

*მეოთხე გვერდიდან*

პუბლიცისტიკის გამოცემას, შეიძლება, ამიტომ მოერიდოთ, მაშინ გამოეცით *„ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979 წ.წ.“).*

ეს არის კრებული ათასგვარი დაკვირვებისა და ამბებისა, ჩაწერილი სისასტიკით აღსავსე იმ წლებში, განსაკუთრებით ცენზურის მხრივ, რომლებიც, მეგონა, ათას წელს მაინც გაგრძელდებოდნენ, და ეს ასეც მოხდებოდა, თუკი მომავალი თაობები ქვეყანას წარმართავდნენ სტალინ-ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ნაცადი ხელით..

კაცობრიობის ბედად ეს ასე არ მოხდა, როგორც ხედავთ, ამ გათენებას მეც მოვესწარი და უკვე შემიძლია სამალავიდან ამოვაძვრინო ჩემი ცხოვრების მთავარი და ყველაზე სანუკვარი ნაწარმოები - „ხალხის მტრის ჩანაწერები“, რომელსაც, სხვათა შორის, თამაზ კვაჭანტირაძე უკვე გაეცნო, და თუ მის ლიტერატურულ გემოვნებას ენდობით, მის დაბეჭდვას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს.

არა მგონია გახსოვდეთ, 1987 წელს, როდესაც თქვენ ანგოლა-მოზამბიკში წესრიგის დამყარებით იყავით გართული, მე გამოგიგზავნეთ ქსეროქსზე გადაღებული ჩემი „ასტაფიევი“ და წერილობით გთხოვდით დამხმარებოდით მისი გამოცემის საქმეში... სხვათა შორის, იმხანად მოსკოვიდან დამირეკა თქვენმა თანაშემწემ, ჩემთვის პირადად სრულიად უცნობმა თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძემ, რომელმაც არაერთი ქება მიაგო ჩემს ნაშრომს, ასე განსაჯეთ, ქართველი მწერლის რუსულიც კი მოიწონა და მითხრა ისიც, შევარდნაძეს ჯერ არ წაუკითხავსო.

საერთოდ, წაიკითხეთ კი?! ის ხომ ღირსეულად შეაფასა - წერილობით! - რუსეთის სინდისად წოდებულმა აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა ჯერ კიდევ იმ მძიმე წლებში, აგრეთვე პოეტებმა სერგეი მიხალკოვმა, მიხეილ დუდინმა, რიმა კაზაკოვამ, მწერალმა ტროეპოლსკიმ, ცნობილმა მოსკოველმა ლიტერატორებმა ლევ ანინსკიმ, სტანისლავ რასადინმა, ლაკშინმა, კრუპინმა, ბორჩაგოვსკიმ...

საინტერესოა, რომ თერთმეტი წლის წინათ „ასტაფიევში“ მე მტკიცედ გამოვთქვი აზრი, „ბერიას გასამართლება“ უნიჭოდ დადგმული ფარსია-მეთქი, აგრეთვე კბილი გავკარი „ლიტერატურნაია გაზეტას“, რომელიც ამ „გასამართლებამდე“ უსაშველოდ სტყუოდა, თუ სექსუალური ალგზნებით შეპყრობილი უკვე მკვდარი ბერია როგორ იხვეწებოდა და ღრიალებდა საკანში“ „Дайте мне бабу, бабу мне, бабу!“..

სიმართლე როდისმე მაინც ამოყოფს თავს: სულ აგერ ახლა „Известиа“-ს დამატება „Неделя“ (№22, 23 ივნისი, 1997 წ.) ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ ლავრენტი ბერია მოკლეს 1953 წლის 26 ივნისს თავისსავე სახლში, კაჩალოვის ქუჩაზე, მკვლელობის ორგანიზატორი იყო მისივე მოადგილე კრუგლოვი...

დიახ, „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“, რომელ კრებულშიც შედის აგრეთვე „Беседа во сне в ночь с 1-го на 2-ое января 1988 года с Михаилом Горбачевым“, ღირს იმად, რომ წაიკითხოთ.

ეჰ, ბატონო ედუარდ, ბატონო ედუარდ! თქვენი „მეფობის“ 25 წლის მანძილზე („მეფობა“ ჯერ მონარქიულ საწყისებზე, შემდეგ კონსტიტუციურზე!) თქვენგან არავითარი თანადგომა არ მახსოვს, გარდა ამ ბოლოდროინდელი სიტყვიერი თანადგომისა, რომელიც ზემოთ მოყვანილ პატარა წერილობით ბარათშია მოხსენიებული, ასე განსაჯეთ, მეცხრე ათეულში გადასულ, თითქოს, პატიოსან მწერლისთვის „ღირსების ორდენიც“ ვერ გაიმეტეთ (ნურც გაიმეტებთ, - არ ვილევ!), პროფესორ ჯანგირაძეს კი საზეიმოდ უბოძეთ...

როგორღაც სასაცილოც კია, რომ „ასტაფიევის“ გამოცემას ხელი უფრო წაჰკრა თქვენმა მეგობარმა ალექსანდრე იაკოვლევმა, რომელმაც ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრესთან შეხვედრისას, 1988 წლის 21 თებერვალს, განაცხადა: „Очень талантливо написано“ (არსებობს ამის ტელეჩანაწერი), და უფრო საოცრად საკვირველი ისაა, რომ მას, პოლიტბიუროს წევრს, იმდროინდელ საბჭოთა კავშირში მეორე კაცს, არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ „Такое длинное, длинное письмо“ მიმართული იყო არა იმდენად ვიქტორ ასტაფიევის მიმართ, რამდენადაც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

და ასეთ წიგნზე, ვისიმე რაიმე პრემიას ვინ ჩივის, გამოიცა-გამოვიდაო, ესეც კი არ დაწერილა ქართულ პრესაში, მსგავს რამეებს ჩვენში, ეს ვინ არ იცის, *თუ თანამდებობა არ გამშვენებს,* სირბილი და ხვეწნა უნდა, რაც ჩემი თავისთვის არასოდეს მიკადრებია... მთელი ჩემი ცხოვრება ამ გზაზე არ ვმდგომილიყავი და „დიდებში“ ისე, უბრალოდაც მეტრიალა, არა მგონია, ჩემი კომედიები, მათ შორის „ეზოში ავი ძაღლია!“, „შავი წიგნი“ და „შავზე შავი წიგნი“, აგრეთვე „Такое длинное письмо“ ვისიმე პრემიას არ დაიმსახურებდა, გნებავთ ტრაბახში ჩამეთვალოს, თუნდაც რუსთაველისას, რომლის მარტო მწერალი-ლაურეატი საქართველოში ოცდაათამდეა (30-მდე!).

დასტურ, თუ ხმებს დაეჯერებათ, ახლა, თქვენი განკარგულებით, რუსთაველის პრემიის ლაურეატებს 12-ჯერ მეტი ყოველთვიური გასამრჯელო ენიშნებათ, ვიდრე ჩემი პენსიაა (რვანახევარი ლარი!).

ერთობ საწუხარ არს, რომ თქვენ, კერძოდ, არც ახალგაზრდობაში და არც ხანში შესვლისას არც ერთი ჩემი პიესა არ გინახავთ, „ავი ძაღლიც“ კი, რომელიც თქვენი მმართველობის დროს, 1977 წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში (უჩვენებენ ახლაც ტელევიზიით, დაწერიდან 45 წლის და ბოლო დადგმიდან 20 წლის შემდეგ!) და რომელმაც 200 ანშლაგი გააკეთა და, ვინ იცის, სცენაზე კიდევ რამდენ ხანს იარსებებდა, რომ თეატრის ახალ ხელმძღვანელს რეპერტუარიდან არ ამოეღო, ცუდი დადგმულიაო.

„ცუდი დადგმის“ გამო ასეთივე ბედი ეწია „ამბავი სიყვარულისას“, რომელიც ამ ორი წლის წინათ დაიდგა და ზოგიერთი მაყურებელი მეორეჯერაც ნახულობდა...

ო, რა ბედნიერება იქნებოდა, ბატონო ედუარდ, ავტორისათვის და სპექტაკლში დაკავებულ მსახიობთათვის სპექტაკლის არსებობის ორი თვის მანძილზე ერთხელ რომ მობრძანებულიყავით და გენახათ: ვფიქრობ მოგეწონებოდათ და მაშინ ასე ბრიყვულად არც მოხსნიდნენ, მაგრამ, აი, დრო, დრო...

რასაკვირველია, დრო თქვენ, ფაქტიურად, სრულებით არა გაქვთ, მაგრამ გამონაკლისს მაინც პოულობთ ხოლმე, აკი, მაგალითად სწორედ იმ ხანებში დაესწარით რკლდიაშვილის „საპოვნელას“ და პიესაც შეაქეთ და მისი ავტორიც, როგორც პიროვნება... მე კი, შეიძლება, პიროვნება არ ვიყო, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც პროფესიონალი დრამატურგი ვარ, 60 წელზე მეტხანს ვემსახურები ქართულ სცენას (ჩემი ბრალი არ არის, თუკი რვა კომედიიდან სამი დაუდგმელია, ეს უფრო დედაქალაქის თეატრების „მაღალ გემოვნებაზე“ მიგვანიშნებს), რკლდიაშვილი კი დამწყები დრამატურგია, პროფესიით ქიმიკოსი, თუმცა... მის დასამშვიდებლად ამასაც ვიტყვი: ალექსანდრე ბოროდინი (გედევანოვი) ქიმიკოსი გახლდათ, მაგრამ ოპერა - შედევრი დაგვიტოვა, „თავადი იგორი!“.

არა, თავს არ გაცოდებთ (შემიცოდებთ კი?!), მე ახლა ყოველმხრივ ძალიან მიჭირს და დიახაც რომ „თანადგომაა საჭირო“, ოღონდ არასიტყვიერი, თუნდაც დოკუმენტურად, იყოს გაფორმებული...

მოიღეთ მოწყალება, ბატონო ედუარდ, გაიღეთ „პადაჩკა“, მე არ ვიუკადრისებ.

ჩემი რომელიმე წიგნის გამოცემა თქვენი 250 ათასიანი პრემიის 2 პროცენტი თუ დაჯდება, შთამომავლობას კი დარჩება კარგი წიგნი!

ოღონდ მინდა ესეც იცოდეთ, მე სხვა ბუნების კაცი ვარ, ვიდრე კლარა აბრამია და... ამ წერილზე თუ დუმილით მიპასუხებთ, მე მას, ცხადია, უარად მივიჩნევ, და მაინც, არც მისებურად ავჭიკჭიკდები და არც ერთი მართლაც ცნობილი მწერლის ბანაკში გადავბარგდები და წინანდებურად კვლავ დავრჩები თქვენი მხარდამჭერი, რადგან თქვენ ამ უაღრესად რთულ, დახლართულ სახელმწიფოებრივ ვითარებაში მთელი გონით და მთელი გულით ემსახურებით სამშობლოს, და დღეს თქვენს შემცვლელს, თქვენზე უფრო ღირსეულს, საქართველოში მე პირადად ვერავის ვხედავ.

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ნამდვილი აკადემიკოსი
**კიტა ბუაჩიძე**
ივლისი, 1997 წელი

---

# გვწერენ

## ეს კანონი ქართველი კაცის დაწერილი არ არის

ყურადღებით გავეცანი პროექტს - „საქართველოს კანონი განათლების შესახებ“, შემდეგ ვუყურე პარლამენტის სხდომებს ამ საკითხზე და ბოლოს წავიკითხე აღნიშნული კანონი. გამიჩნდა მრავალი შენიშვნა და მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით პედაგოგი და ჰუმანიტარი არა ვარ, გადავწყვიტე გაზეთის საშუალებით გამეზიარებინა ჩემი მოსაზრებები საზოგადოებისათვის.

ზოგად დებულებებში, რომელიც განსაზღვრავს ამ კანონის ძირითად არსს, ჩამოთვლილია ათი ძირითადი პრინციპი - „ჰუმანურობა“, „ჰარმონიულობა“, „ტრადიციების პატივისცემა“ და სხვა მრავალი, რომელთა შორის ადგილი არ აღმოჩნდა ისეთი ცნებისათვის, როგორიცაა: „პატრიოტიზმი“, „პატრიოტული აღზრდა“, მიუღებელია ეს ცნებები, ან კომუნისტური გადმონაშთია და გაიგივებულია „აგრესიულ ნაციონალიზმთან“;

მუხლი 7, პუნქტი 10 - „სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს მოქალაქეებისათვის ითვალისწინებს სამხედრო მომზადებას სახელმწიფო ენაზე“ - და მეტი, კანონში, აღარსად არის მოხსენიებული სამხედრო სწავლება. ომი და აგრესია გაუმართლებელია, მაგრამ, როდესაც გარშემორტყმული ხარ ამდენი „ძმითა“ და „მეგობრით“, რომელთაგან ზოგი უკვე „დაგესესხა“ ტერიტორიებს, ზოგი გიღიმის და გეუბნება - „ნუ გეშინია, მე არაფერს არ წაგართმევო“ და ამ დროს იმ ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხვალ შეიძლება მთავრობაში მოვიდნენ, იხილავენ პროექტებს - როგორ უნდა გაჭრან ზღვაზე „კორიდორი“, იარაღდებიან და იარაღდებიან და ა.შ. და ა.შ. მაშინ საყოველთაო სამხედრო სწავლებას ცოტა სხვა თვალით უნდა შევხედოთ და კანონშიც გავითვალისწინოთ ეს მოვლენები.

კიდევ ბევრი, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს კანონს. მე მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდები.

გაუგებარია, რატომ ეკრძალება საშუალო პროფესიული განათლების მქონე (ე.ი. ძველებურად „ტექნიკუმდამთავრებულ“) ახალგაზრდას უმაღლესი განათლების მიღება. თუკი წარმოებაში მიღებული გამოცდილების შემდეგ გაუჩნდა უმაღლესი განათლების მიღების სურვილი და უნარიც აქვს ჩააბაროს მისაღები გამოცდები, რატომ ედობება ამას კანონი (მუხლი 11, პუნქტი 5 და მუხლი 12, პუნქტი 4)?

გაუგებარია, რატომ შეიცავს აუცილებელ ფიზიკურ აღზრდას საგანმანათლებლო პროგრამის ყველა საფეხური, გარდა „სახელობითი მომზადებისა“ (მუხლი 7, პუნქტი 7)?

სასაცილოა მუხლი 29, პუნქტი 2 - „საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უხარისხო სწავლებით მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ სწავლების მისაღებად გაწეული ხარჯების ოდენობამდე“. არა „ოდენობით“, არამედ „ოდენობამდე“. მახსენდება, იყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში „მომწყობი“ აფერისტები, რომლებიც მსურველებს პირდებოდნენ ბავშვების მოწყობას, რაშიც წინასწარ იღებდნენ ფულს, გაკეთებით კი არაფერს აკეთებდნენ. ვინც მოხვდებოდა (თავისით), ხომ კარგი და მადლობასაც იმსახურებდნენ („მომწყობნი“). ვისი ბავშვიც გარეთ რჩებოდა, ფულს ან ულაპარაკოდ უბრუნებდნენ, ბოდიშის მოხდით, ან არადა - „ორ საგანში ხომ მივაღებინე ნიშანი, ხარჯი მქონდა, მეც ცოდო ვარო“ და განსაზღვრულ „ოდენობამდე“ უბრუნებდნენ ფულს.

ადამიანს ექმნება აზრი, რომ ეს კანონი ქართველი კაცის დაწერილი არ არის, ის სხვისი ნაკარნახევია. ეს ეტყობა როგორც არსს, ისე ტექსტს, დაწერილია ძალიან მძიმე ენით. ცნობილია, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ნამდვილად არ გამოგვადგება, როგორ გავზარდოთ ბავშვები, საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეები, როგორ ჩავუნერგოთ ქვეყნის სიყვარული - ეს ჩვენი, ჩვენი განათლების სისტემის საქმეა და არამც და არამც საერთაშორისო ორგანიზაციების თუ რომელიმე ბანკის.

უდავოა, კანონს მრავალი ხარვეზი აქვს, რაც დადასტურდა კიდეც მოსწავლეთა სასახლის შეხვედრის დროს.

მაგრამ, ვინაიდან კანონი კანონია და ვიდრე მოქმედებს, უნდა შესრულდეს კიდეც, მიმაჩნია, საჭიროა ცალკეულმა პიროვნებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ჰუმანიტარულმა, კვლევითმა და სასწავლო დაწესებულებებმა აიმაღლონ ხმა და აიძულონ კანონმდებლები, მიიღონ კანონის ისეთი ვარიანტი, როგორიც ეკადრება დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყანას, მითუმეტეს, რომ ამის გამოცდილება გვაქვს 1978 წლიდან.

**ნუგზარ ახვლედიანი**

---

## „ამერიკული ყველაფერი კარგია“ — მცდარი ყოფილა

თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს დერეფნის ჭერი, რომელიც ორი კვირის წინ ამერიკელმა გვარდიელებმა, სამხედრო წრთვნების „ქვაკუთხედი-97“ ჩარჩოებში გაარემონტეს, ჩამოინგრა. ამის შესახებ „იფრინდა“-სათვის სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი. ქართველ გვარდიელებს ისღა დარჩენოდათ, ამერიკელი კოლეგების სამშენებლო ნაკლი თავად გამოესწორებინათ. (იფრინდა)

## გერმანე ფაცაციამ დევნილებს საზოგადოება „თბილისელში“ გაერთიანებისაკენ მოუწოდა

გერმანე ფაცაციამ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე აფხაზეთიდან ყველა დევნილს საზოგადოება „თბილისელში“ გაერთიანებისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, „ეგებ დევნილებმა ამის შემდეგ მაინც მოიპოვონ თბილისელის წოდება და მათ ქალაქის დანაგვიანებასა და ქვეყნის ყველა უბედურებაში აღარ დასდონ ბრალი“. (იფრინდა)

## „ჩვენ თავიდან ბოლომდე რუსულ პოლიტიკაში ვართ“

გერმანე ფაცაციამ გააკრიტიკა აფხაზთა ლიდერის ვ.არძინბას ვიზიტის დროს რუსულ ენაზე შექმნილი დოკუმენტი და განაცხადა, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს პრეზიდენტს რუსულად არ უნდა მოეწერა ხელი ამავე ენაზე შექმნილ დოკუმენტზე, რადგან მისივე თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობიდან გამომდინარე, აფხაზეთის პრობლემაც სისხლხორცეულად ქართულია. „რუსული დოკუმენტის არსებობის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენ თავიდან ბოლომდე რუსულ პოლიტიკაში ვართ“ - განაცხადა ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ლიდერმა. (იფრინდა)

## ჩეჩნეთის პრეზიდენტი არ მონაწილეობს შეხვედრაში

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტს ჩეჩენ-პრესის ხელმძღვანელმა ხამიდ ხატუევმა აცნობა, ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი არ მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შეხვედრაში, რომელიც გუშინ პიატიგორსკში შედგა. ხ.ხატუევმა ეს იმით ახსნა, რომ პიატიგორსკში რუსეთის ფედერაციის სუბიექტები შეიკრიბნენ, „იჩქერია კი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. მისივე თქმით, „ა. მასხადოვი არც მომავალში მიიღებს მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას“. (იფრინდა)



## აზერბაიჯანელმა ქალებმაც დაიწყეს უცხოელებთან თანამშრომლობა

აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების მინისტრმა ნამიკ აბასოვმა აზერბაიჯანულ გაზეთ „ზერკალოსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ერთ თვეში დასრულდება რესპუბლიკის რიგი პოლიტიკური პარტიების უცხოური დაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობის საკითხის განხილვა.

აბასოვის თქმით, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე აზერბაიჯანული პოლიტიკური პარტია თანამშრომლობს დასავლეთის სპეცსამსახურებთან. მინისტრმა თავი შეიკავა იმ პოლიტიკური პარტიების დასახელებისაგან, რომელთაც შპიონაჟში ედებათ ბრალი.

„ეს პარტიები იმ ქვეყნებთან თანამშრომლობენ, რომელთაც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები აქვთ აზერბაიჯანში“ – უთხრა აბასოვმა გაზეთ „ზერკალოს“.

მინისტრმა უარყო ვერსია, თითქოს პოლიტიკური პარტიების უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დადანაშაულების კამპანია მოახლოებული მუნიციპალური და საპრეზიდენტო არჩევნების წინ მათ ჩამოცილებას ისახავს მიზნად.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ უცხოურ სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობაში ძირითადად ქალებზეა ეჭვი. მათ შორის არიან ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე გაჯიევა, პარტია „ვახდატის“ თანათავმჯდომარე იუნუსოვა, ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე აბდულაევა. უშიშროების მინისტრმა უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ არ ფლობს ფაქტებს უცხოურ სპეცსამსახურებთან გაჯიევას თანამშრომლობის შესახებ.

აზერბაიჯანელი ანალიტიკოსები მათ ქვეყანაში ჯაშუშომანიის ახალი ეტაპის დაწყების შესახებ აცხადებენ, რომ სამშობლოს ღალატისათვის ბრალდება წაეყენება არა მარტო პოლიტიკოსებს, არამედ მათ ახლო ნათესავებსაც. (პრაიმნიუსი)

# ტიბეტი — ჩაკლული სული



მანქანა ოღრო-ჩოღრო, მტვრიან გზას მიუყვება, წვალობს, ხვნეშის; ძრავა ხრიალებს და ერთბაშად ქრება. ჩვენს წინ ორ კუნძზე გადებული მორია, ბარიერთან იარაღშემართული ჩინელი ჯარისკაცი დგას. მორჩა, ჩვენი მგზავრობა აქ თავდება, ამის იქით ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ. კარვებიდან ჯარისკაცები გამოდიან. განდენის ტაძრისკენ მიმავალი გზა ლჰასიდან 30 კილომეტრზე გადახერგილია: უცხოელებს და ტიბეტელ მლოცველებს ტაძართან მიახლოება ეკრძალებათ. ჩინელი სამხედროების ნების გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდება აკრძალულ ზონაში, რომელშიც რელიგიური უნივერსიტეტი და ტაძარი ერთურთს ემეზობლება.

არავინ იცის, რამდენი ადამიანი შეეწირა 5 თვის წინ ბერებისა და ჯარისკაცების შეჯახებას. პეკინმა სასტიკად აკრძალა დალაი-ლამას სურათების გამოკიდება ტიბეტში. ჯარისკაცებმა კედლებიდან ჩამოგლიჯეს პორტრეტები და ჩექმებით გათელეს. ბერები წინ აღუდგნენ პეკინის ნებას, ამას კი სისხლისმღვრელი შეტაკება მოჰყვა. შედეგი სავალალოა: ორი მოკლული, ათამდე დაჭრილი. ბევრმა დილეგში ამოყო თავი. ახალგაზრდა მსახურნი სახლებში დააბრუნეს. ის, ვინც ტაძარში დარჩა, იძულებულია „პატრიოტული აღზრდის“ ყოველდღიური კურსი მოისმინოს, სადაც პოლიტიკური კომისრები მათ „კანონის პატივისცემას“ და ტიბეტის ისტორიის ჩინურ ვერსიას შეასწავლიან. ბერებს აიძულებენ ხელი მოაწერონ ე.წ. „ხუთმუხლიან დეკლარაციას“, რომელიც ითვალისწინებს დალაი-ლამას საჯაროდ დაგმობას, მის უარყოფას, როგორც სულიერი მოძღვრისა, პეკინის მიერ „დანიშნული“ პანშენ-ლამას კანონიერების აღიარებას. ამასთან ერთად, ბერებმა წერილობით უნდა დაადასტურონ, რომ ტიბეტს ჩინეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ და ამავდროულად, პირობა დადონ, რომ არ მოუსმენენ უცხოური და ტიბეტური რადიოს „პროპაგანდისტულ“ გადაცემებს.

...3 დღის შემდეგ ჩვენ ერთ პატარა სოფელს ვეწვიეთ. აქაურმა ტაძარმაც განდენის დიდი ტაძრის ბედი გაიზიარა. დალაი-ლამას სურათის ნაცვლად კედელზე ცარიელი ჩარჩო ჰკიდია. ზოგან, დალაი-ლამა ქვეყნის მფარველი ანგელოსის შენრეზიგის სურათმა შეცვალა. დალაი-ლამა შენრეზიგის მიწიერ განხორციელებადაა აღიარებული. ის რამდენიმე ბერი, რომელიც ტაძარს შემორჩა, ახალი აღმზრდელების მეთვალყურეობის ქვეშ, საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნას „იღრმავებს“.

შალუ გომპაშიც იგივე სურათი დაგვხვდა: ტაძრის კედლებზე გულმოდგინედ წაუშლიათ XII საუკუნის შესანიშნავი ფრესკები, რომლებიც, თავის დროზე „წითელი მცველების“ რისხვას გადაურჩა. ტაძრის ნახევარი სკოლას აქვს დათმობილი: აქ სამხედროები „ჭკუას არიგებენ“ ბერებს.

მთელი ტიბეტი რელიგიურმა რეპრესიებმა მოიცვა. ბრძოლა დალაი-ლამას წინააღმდეგაა მიმართული, რომელსაც ჩინეთის ხელისუფლება „სეპარატისტულ გამოხტომებში“ სდებს ბრალს. ჩინეთის მიზანი აშკარაა; საქმე ეხება პანშანლამას ხელდასმას (ტიბეტში პანშან-ლამას რელიგიურ იერარქიაში მეორე ადგილი უკავია). დალაი-ლამამ ზუსტად ერთი წლის წინ ქვეყანას ამცნო ახალი პანშანლამას სახელი, ჩინეთის ხელისუფლებამ კი ტახტზე სულ სხვა პიროვნება დასვა. დალაი-ლამას ნებით შერჩეული ბავშვი უკვალოდ გაუჩინარდა. ჩანს, იგი ჩინელებმა მოიტაცეს და მშობლებთან ერთად შორეულ კუთხეში ჰყავთ გამოკეტილი. მისი მეტოქე კი ტიბეტელმა ბერებმა იმთავითვე უარყვეს. პეკინი შეეცადა „ჩინელი პანშენი“ ტიბეტში ჩაეყვანა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ბავშვი ისევ ჩინეთში დააბრუნეს, თუმცა კი, მისი სურათები ტაძრების კედლებზე და სახლების კარებთან გამოკიდეს. ამრიგად, მთელი ეს შეხლა-შემოხლა, ტიბეტის რელიგიური იერარქიის კონტროლის გამოა ატეხილი.

ჩინეთის ჯარის ნაწილები მთელ ქვეყანას მოედვნენ, თვით პატარა სოფლებშიც კი სამხედრო რაზმია დაბანაკებული. ტიბეტელებს სამხედრო ფორმა გადააცვეს, სკოლების გვერდით კი ყაზარმები გააშენეს. ფოტოაპარატის ხმარება სასტიკად აკრძალულია. ტელეფონის ხაზებსაც ჩინელი სამხედროები მეთვალყურეობენ. ტიბეტი ოკუპირებული ქვეყნის შთაბეჭდილებას ტოვებს და ეს მეტად მძიმე განცდაა.

დალაი-ლამას წინააღმდეგ მიმართული კამპანია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც საგრძნობია. „მოდერნიზაციის“ მიზნით წამოწყებულმა მშენებლობებმა დაამახინჯა ტიბეტის დედაქალაქი. ჩვეულებრივ გულღია და მომღიმარე ტიბეტელები დღეს თავდახრილნი, მიწას დაშტერებულნი დაიარებიან ქუჩებში და უცხოელებს სათოფეზე აღარ ეკარებიან. დედაქალაქის ქუჩებს ვიდეოკამერების თვალები ზვერავენ, სახლების გაყოლებით კი სამხედრო პატრულები დასეირნობენ ნება-ნება. სოკოებივით იზრდა შეუხედავმა, გულისამრევი ფერებით აჭრელებულმა ნაგებობებმა. ბულდოზერები საშინელი გრუხუნით ანგრევენ ძველ, ტრადიციულ უბნებს. „ყაზარმული არქიტექტურა“ გამარჯვებას ზეიმობს... დალაი-ლამას და ტიბეტის მთავრობის სასახლე ღრმა ძილში ჩაძირულ მუზეუმს წააგავს. „რამდენიმე ბერი და ოცდაათამდე ჯარისკაცილა შემორჩით“, – გვიხსნის რელიგიის მსახური.

ბაზარს, ჯიხურებს, სათამაშო დარბაზებს, ჩაის სალონებსა და ბორდელებს ჩინელები დაეპატრონნენ. მოსაღამოვდება თუ არა, სახლების თავზე ნათურები იფეთქებენ, კლიენტებს დანაგვიანებულ, საზარელ ჯურღმულებში იწვევენ. შეხვალ და შიდსი გარანტირებული გაქვს, ხელისუფლება კი კრინტსაც არ ძრავს ეპიდემიის საშიშროებაზე, თუმცა, ვირუსის გავრცელებას ჩინური კედელიც ვერ უშველის.

„სამყაროს ჭერის“ (როგორც ტიბეტს უწოდებენ) ჩინეთისადმი მიკუთვნება თანამედროვე „ისტორიული ფიქციაა“. ამ თეზას ჯიუტად ეპოტინება ჩინეთი, ტიბეტელები კი საკუთარი აზრის დათმობას არ აპირებენ. 1959 წლის ამბოხებას, რომელიც სისხლში ჩაახრჩო ჩინეთმა და რომელმაც დალაი-ლამას და მასთან ერთად, ათასობით ტიბეტელის ემიგრაცია გამოიწვია, ეროვნული ხასიათი ჰქონდა და იგი უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორედ მაშინ ჩაისახა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. რა თქმა უნდა, მსოფლიომ ეს არ იცის, მაგრამ, ტიბეტი დღესაც კოლონიურ რეჟიმში ცხოვრობს.

რათა საბოლოოდ გამოუთხარონ ძირი ტიბეტის კულტურას, ჩინეთმა ყველაზე „ეფექტურ“, ყველაზე საზარელ ხერხს მიმართა: იგი ცდილობს მშობლიური ენა გამოსტაცოს ხალხს. ტელევიზია ჩინურად ალაპარაკდა, ჩინურმა წიგნებმა აავსეს დახლები. სკოლებში, უპირატესად, ჩინური ენა ისწავლება, ტიბეტურ ანბანს კი, სულ უფრო ხშირად იეროგლიფები ენაცვლება. ტოპონიმიკამაც დიდი ცვლილება განიცადა: სახელებს უცვლიან ქალაქებსა და სოფლებს. ჩინეთმა დაივიწყა, რომ 1987 წელს ტიბეტურ ენას ავტონომიური რეგიონის სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭა. ოფიციალურ საბუთებს ჩინურად ავსებენ, იმას კი, რომ ბევრმა ტიბეტელმა ჩინური არ იცის, არად დაგიდევენ. ჩინოვნიკები ადგილობრივი ენის შესასწავლად თავს არ იწუხებენ. ტიბეტურ დიასპორას, მთელი ძალისხმევის მიუხედავად, სულ მალე ტიბეტური ენა და კულტურა შეიძლება მოგონებად შემორჩეს კაცობრიობის ისტორიას და მხოლოდ რამდენიმე მომავალი ტიბეტოლოგის კვლევის საგნად იქცეს.

**კლოდ ბ.ლევენსონი**
(„ობსერვატორი“)
თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა



## ბაზარში ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტები გამოავლინეს

როგორც გურიის სამხარეო პოლიციიდან „მოამბე-ექსპრესის“ ოზურგეთელ კორესპონდენტს აცნობეს, აგვისტოს მიწურულს ლანჩხუთის პოლიციამ, რაიონის სანეპიდსადგურის თანამშრომლებმა და უბნის ინსპექტორებმა ლანჩხუთის აგრარულ ბაზარში ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტების ინფიცირებული დაავადებების აღმოცენება-გავრცელებისა და მოწამვლის ალკვეთის მიზნით ჩატარებული რეიდის შედეგად ამოიღეს სიღნაღელი ქეტესა ხომაშვილის კუთვნილი მაღალი ნიტრატების შემცველი 72 კგ საზამთრო, ლანჩხუთელი ნაზი ჯაფარიძისაგან 1,5 ლიტრი შინნახადი არაყი და 11 კოლოფი ვადაგასული თურქული ორცხობილა, თაბუკაშვილის ქ.№27 მაღაზიიდან საკვებად უვარგისი 1,5 კგ შებოლილი ძეხვი, სოფელ ლესის პურის საცხობიდან 72%-იანი 45 კგ პური, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სასაქონლო სახე და საკვებად უვარგისი იყო.

როგორც სამხარეო პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, ზემოთ ჩამოთვლილი ამოღებული მავნე პროდუქტები სათანადო აქტით განადგურდა.

## ქოლერის ეპიდემიამ რამდენიმე ასეული ფრინველი იმსხვერპლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტზე დაყრდნობით, „მოამბე-ექსპრესი“ იუწყება, რომ ქუთაისის მახლობლად, ვარციხის ჰესთან ადგილი ჰქონდა ველური ფრინველების მასიურ დაღუპვას. დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფმა ადგილზე მისვლისას, 60 ჰექტარ მიწის ფართობზე აღმოაჩინა რამდენიმე ასეული დაღუპული და მომაკვდავი ფრინველი, ძირითადად ველური იხვი. როგორც „მოამბე-ექსპრესს“ აღნიშნული დეპარტამენტიდან აცნობეს, ადგილზე ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ ფრინველთა მასიური დაღუპვის მიზეზი ქოლერის ეპიდემია გახდა.

1 სექტემბერს დაიწყო ტერიტორიის გაწმენდა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა გააფრთხილეს მოსახლეობა, არავითარ შემთხვევაში არ მიეკარონ მკვდარ ფრინველებს.

## აღმოჩენილია ფალსიფიცირებული „რეოპოლიგლუკინის“ ხსნარი

„იფრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ ჩაატარა 2315 დასახელების სამკურნალო საშუალების ანალიზი, რომლის შედეგადაც წუნი დაედო 266 პრეპარატს, ანუ 11,4%. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ფალსიფიცირებული „რეოპოლიგლუკინის“ (სისხლის შემცვლელი) ხსნარი. (იფრინდა)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება არასტანდარტული 2 ოთახიანი ბინა საბურთალოზე. საერთო ფართი 75 კვ.მ, ჭერი 3,20, სარდაფით. ფასი 24000$ ტელ. 37-32-89

იყიდება დიდი ხეივნის ქუჩაზე ორი მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-15-01

იყიდება სამსართულიანი სახლი სოფ.გლდანთან, ორსართულიანი ავტოფარეხით, საუნათი, ეზოში საცურაო აუზით. ფასი 8000$ ტელ. 95-30-47

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში, საცხოვრებელი ფართი 80 კვ.მ, აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ტელეფონი და დიდი სარდაფი. ფასი 32000 დოლარი. ტელ. 72-26-31

იყიდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა სამგორის მეტროსთან, ნავთლუღის ბაზრის მხარეს. II სართული. ტელეფონით, სარდაფით. ტელ. 63-22-48

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ბელეტაჟზე, სათავსოებით, ჩაშენებული კარადებით, სარდაფით, ავტოსადგომით, ტელეფონით, ალმაშენებლის გამზ. 70 ბ. 10. ტელ. 95-08-90 ბოჯგუა

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ავლაბარში, ლოჯიით, მე-3 სართულზე, იტალიურ ეზოში. სარემონტო, ტელეფონით, ფასი 6000 დოლარი. ტელ. 23-01-78

იყიდება ოთხოთახიანი ბინა ცოტნე დადიანის ქ.№65, გადასასვლელ ხიდთან ახლოს. ტელ. 95-88-38

იყიდება 2000 კვმ მიწის ნაკვეთი მცხეთის რ-ნის სოფ. სასხორში ხეხილით და მშენებარე ერთსართულიანი სახლით. ფასი 3000$ ტელ. 68-60-64 იზო ან კაკო

იყიდება ერთოთახიანი გარემონტებული ბინა მაღალ ბელეტაჟზე. ტელეფონით, სარდაფით. ფასი 8000 დოლარი. გამოდგება ოფისისათვის. ტელ. 93-12-66

იყიდება სააგარაკე მიწის ნაკვეთი, პრივატიზებული, მდებარეობს აჭყალაში, პლასტმასის ქარხნის ნაკვეთების ტერიტორიაზე. ეზოში არის ყველანაირი მსხმოიარე ხეხილი, დიდი ხეივნით, ბლოკით ნაშენები ორსართულიანი სახლი, შესაძლებელია ტელეფონის დადგმა. საწყისი ფასი 15000 დოლარი. დარეკეთ 62-24-26 საღამოს საათებში

## სხვადასხვა

იყიდება გერმანული აკორდეონი (ფასი 120 ლარი), ლოჯიისათვის გამზადებული კარ-ფანჯარა (ფასი შეთანხმებით). ტელ. 98-38-98 ლალი

მივიღებ შეკვეთებს თეთრეულის ინდივიდუალურ რეცხვაზე, შეღავათიან ფასებში. 1 კომპლექტი 3 ლარი. ტელ. 35-02-52

იყიდება ახალი მტვერსასრუტი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 67-24-35

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი ლიფტით. ფართი 250 კვ.მ ფასი 35000 დოლარი. ტელ. 72-26-31

იყიდება ბენზინის ცისტერნები, 3 ცალი. ტევადობა თითოეულის 12 ტონა. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ საღამოს საათებში. ტელ. 62-39-70 ტარიელი

იყიდება რუმინული სამზარეულო, ფასი 1200 დოლარი; იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი“ 172 დიაგონალი - ფასი 1600 დოლარი, იაპონური ვიდეომაგნიტოფონი - ფასი 500 დოლარი, ამერიკული მობილური ტელეფონი „მოტოროლა“ კომპიუტერით, აქვს დამატებით ორი ბატარეა - ფასი 1200 დოლარი, კონდინციონერი - ფასი 150 დოლარი, ტელევიზორი „იუნოსტი“ (406 დეციმენტი), შავ-თეთრი - ფასი 150 დოლარი. ფეხის საკერავი მანქანა „პოდოლსკი“ - ფასი 150 დოლარი, წყლის გამაცხელებელი ატმორი ისრაელის გამოშვება - ფასი 100 დოლარი, ტრანზისტორი „ოკეანე“ მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე - ფასი 60 დოლარი. ტელ. 72-26-31

იყიდება რეზინის სათევზაო სანადირო ჩექმები 44 ზომა. ფასი 50$ გერმანული საბეჭდი მანქანა „ერიკა“ რუსული შრიფტით 100$, საბეჭდი მანქანა „ლუბავა“ ქართული შრიფტით 100$ პორტატული ელექტროკარდიოგრაფი 150$ გრამფირფიტების ალბომი სტალინის სიტყვით VIII ყრილობაზე 150$ ელექტროსამწვადე 50 ლარი, 12 ბასიანი რუსეთის გარმონი „Казань“ 50 ლარი, ენდოსკოპის სტაბილიზატორი - 50 ლარი, სამკურნალო ბიოკორექტორები „MK 37,2 Lux“, რომელიც თავიდან აგაცილებთ ყოველგვარი მედიკამენტების მიღებას - 40 ლარი, ტელ. 30-53-80 ან 95-38-12

## ვამზადებ

ვასწავლი ინგლისურ ენას. ტელ. 39-30-68 ქეთინო

ვარ სპეციალობით პედაგოგი ვამეცადინებ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში. ტელ. 98-38-98 ლალი

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ქანდაკებაში, შეღავათიან ფასებში. ტელ. 22-15-46

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით (გამარტივებული მეთოდებით) სწავლების ვადა 4 თვე. ტელ. 98-34-65

მოვამზადებ დაწყებითი კლასის ბავშვებს გერმანულ ენაში შინ მისვლით. თვეში 20 ლარი. ტელ. 98-60-69 მაია

## ავტომანქანა

იყიდება „გაზ-21“ გაახლებული, საწყისი ფასი 1200$ ტელ. 95-30-47

იყიდება ავტომანქანა „ნისან-სანი“ წითელი ფერის, 1986 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, საწყისი ფასი 2500 დოლარი. ტელ. 99-69-28 იკითხეთ მაია

## მოვუვლი

მოვუვლი ბავშვს 3 წლის ასაკიდან. ტელ. 99-73-68

მოვუვლი და ვასწავლი 10 წლამდე ასაკის ბავშვებს. ტელ. 22-45-85 ელზა

## ქირავდება

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული, სუფთა ბინა, პეკინზე ფასი 100 ლარი. ტელ. 95-38-12

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა ტელეფონით, ავეჯით და მაცივრით, 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე მეტრო „პოლიტექნიკურთან“. ტელ. 23-55-78; 38-27-34 მადონა

# კროსვორდი



მწოლიარედ: 1. ...და იცანი, არც მიწისაა, არც ცისა; 5. „დაბმული“ ქალაქი თურქეთში; 9. მიწიდან ამოხეთქილი მასა; 10. მანქანის ფირმა; 11. მაღაზიის თავზე წარწერა; 12. „თლილი“ შუშის ჭურჭელი; 13. „ოსების სამი“ საჭმელი (რუს.ნაწ.კავშ); 14. ქალიშვილი, რომლის ადგილი არის „ბანი“; 16. ლორის ვიტამინი; 19. მიხოს სამშობლო; 20. ამ მცენარით კარგად „დაგვი“; 23. ამ გოგონას პირის „ბანა“ არ უყვარს; 26. ქალის სახელი; 28. ძველი ანსამბლი, რომელიც სულ „რერაზე“ მღეროდა; 29. „ანის“ საყვარელი ხე; 32. საზომი ერთეული ინგლისში; 33. წერილის შესანახი ადგილი ტანსაცმლის ქვეშ; 34. რიჩარდ „გირის“ ასაწონი საშუალება; 35. „ალას მიერ დაყენებული „ქოთი“; 36. „ანას“ გამაყუჩებელი წამალი.

მდგომიარედ: 1. „ალინას“ საყვარელი მცენარე; 2. ნაცარქექიასაგან დამარცხებული; 3. მგლის ლეკვების დასაზრდელი ადგილი; 4. მსუბუქი ჟანრის ეროტიკული ფილმი; 5. „ტალონების“ მოყვარული ამერიკელი კინომსახიობი; 6. პირველი „სორტის“ „ბამბანერკა“; 7. სვანეთის მთებში ჩამოსხმული არაყი; 8. ძველი „ყალთიანი“ აკადემია; 15. „ასახტომი“ იალქნიანი პატარა გემი; 16. მაგარი „გასათიში“ არაყი; 17. ლიმონათში ჩასატევი რიცხვი; 18. როგორი ძაღლია ეზოში? 21. „ორ გულიანი“ თევზი; 22. ერმინიას ადვოკატი, რომელსაც ყველაფერი „სჯერა“ (რუს.კავშ.); 23. რაფაელა კარას გველი; 24. „მელასავით“ ჩუმი ქალი; 25. „ვანაში“ დასასვენებელი კურორტი, სადაც „ჰავაც ბევრია“; 27. „ვანში“ გამოშვებული ბავშვის საწოლი; 30. სასწრაფო დახმარება „901“-ის ლიდერი; 31. ფულის ერთეული ინგლისში.

**თათია ბერაძე**


ჩვენს საყვარელ **ემას** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ნათელ და ლამაზ მომავალს. იყავი ბედნიერი ბედნიერ ქალთა შორის!

დიდი სიყვარულით შენი „გოგოები“

სააქციო საზოგადოება **„ოქროს თასის“** ოფისში გაიმართება აქციონერთა საერთო კრება ამა წლის 9 სექტემბერს 12 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, ლესელიძის 28
„ოქროს თასის“ დირექტორატი

ჟურნალისტ ირინა ასათიანს გარდაეცვალა მამა, **შოთა ასათიანი**. სამძიმარს ვუცხადებ განსვენებულის ოჯახს.
ნანა კიკუტაძე

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**
ლიცენზირებულია №091
გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:
1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.
მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

რეკლამა გაზეთ „საქართველოში“ თქვენი საქმიანობის წარმატების საწინდარია!
**დაგვირეკეთ 93-18-41**



**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**
განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში
მიიღებიან VI-XI კლასების მოსწავლეები
განცხადებები მიიღება 11 სექტემბრამდე
მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია) ტელ: 29-48-60, 29-48-61, 23-53-17

**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**
განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური“ გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე
თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში
- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან) ტელ: 29-48-61, 23-53-17, 29-48-69 ფაქსი: 29-49-61

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**
**დაგვირეკეთ: 93-18-41**

## არჩევს კი რიჩარდ გროვპილზი ტყუილ-მართალს?

თბილისის პოლიციის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიების განყოფილების უფროსმა ვახტანგ ბედოშვილმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციამ ბულგარელ დიპლომატს ალექსანდრე მარინოვს საგამოძიებო ორგანოებთან გასაუბრებისა და ავტომანქანის ექსპერტიზაზე გადაცემის ნება დართო.

ბულგარელ დიპლომატს, რომელმაც ამა წლის 13 ივლისს არაფხიზელ მდგომარეობაში ავტოავარიის შედეგად მოკლა ორი ქართველი ახალგაზრდა, წინასწარმა გამოძიებამ ჩვენება ჩამოართვა და მის მანქანას სასამართლო ექსპერტიზა ჩაუტარდა.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციის თბილისის ოფისის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რიჩარდ გროვპილზმა პრესისათვის გავრცელებულ ცნობაში უკმაყოფილება გამოთქვა ბოლო დროს პრესაში დაბეჭდილ პუბლიკაციებთან დაკავშირებით, თითქოს წითელი ჯვრის ფედერაცია საგამოძიებო ორგანოებს საშუალებას არ აძლევს ნორმალური გამოძიება ჩაატარონ დიპლომატის საქმეზე.

ამ საკითხში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციის უკმაყოფილებას ვახტანგ ბედოშვილიც იზიარებს. „მარინოვისთვის დიპლომატიური იმუნიტეტი არ მოუხსნიათ, მაგრამ ყველა სხვა მოთხოვნაზე თანხმობა მივიღეთ“, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ვახტანგ ბედოშვილმა. (პრაიმ-ნიუსი)

## დაკავებულმა სპირტმა თავბრუ დაახვია რუს ჩინოვნიკებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგელაიამ „მიუღებელი“ უწოდა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის ანდრეი ნიკოლაევის განცხადების ტონს, რომელშიც მან, ფაქტიურად, ბრალი დასდო საქართველოს „ფეთქებადსაშიში“ ვითარების შექმნაში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთზე.

ანდრეი ნიკოლაევმა განაცხადა, რომ იგი „ყველა ღონეს მიმართავს, მათ შორის იარაღის ჩათვლით, რათა სპირტი არ გაატაროს რუსეთის ტერიტორიაზე“.

„რუსეთის მესაზღვრეებს საკმაო ძალა გააჩნიათ საზღვრების დასაცავად, მზადყოფნაშია ავიაცია, თუ საჭირო გახდა, ყველა ხელთარსებულ ძალას გამოვიყენებთ და სპირტი მაინც ვერ გასცდება საზღვარს“ - თქვა რუსეთის მესაზღვრეთა შეფმა.

1 სექტემბერს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია - „საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვის კანონიერებაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყანა პრობლემის გარკვევას ტვირთების საკუთარ ტერიტორიაზე მიღების შემდეგ იწყებს“.

რუსეთის მხარე ამტკიცებს, რომ საზღვართან უკვე ათასხუთასამდე მანქანა დაგროვდა, რომელთაგან თითოეული 10 ტონა სპირტითაა დატვირთული. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს სამხედრო გზის რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთზე სამასზე ნაკლები მანქანაა გაჩერებული, რომელთა ტვირთი მთლიანობაში 4 ათას ტონას შეადგენს.

შენგელაიას აზრით, „ანდრეი ნიკოლაევს უნდა ესმოდეს, რომ მისი განცხადება არის არა კერძო პირის აზრი, არამედ მაღალი სახელმწიფო ჩინოვნიკის გამონათქვამი და პასუხისმგებლობაც უნდა იგრძნოს. მსგავსი განცხადებები წინა რეჟიმის სტილს მაგონებს“.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის აზრს დაეთანხმა გაზეთ „სეგოდნიაში“ საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალერი ჩხეიძე. (პრაიმ-ნიუსი)

## ამბობენ, პენსიონერებს პენსიებსაც კი მისცემენო, გაძვირებულ პურს?..

„ჩვენ უკვე გარკვეული ნაბიჯები გადავდგით პენსიების გაცემასთან დაკავშირებით“ - განაცხადა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრმა თენგიზ გაზდელიანმა, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, მოხდა პენსიონერთა სიების შედგენა, რის პარალელურად მათი აღრიცხვიანობის სისტემა გადამოწმდა, შემოწმდა სტატისტიკური მონაცემების რეალურობა. პენსიონერთა ასაკის 5 წლით გაზრდამ შესაბამისად მათი რაოდენობის შემცირება გამოიწვია, ხოლო 62-63 ათასი მომუშავე პენსიონერისათვის პენსიების მოხსნამ 935 ათასამდე შეამცირა ეს რიცხვი. აქედან გამომდინარე, როგორც მინისტრმა განაცხადა, ფონდისთვის თანხა საკმარისია, რაც პენსიების დროულად გაცემის გარანტიაა. (მოამბე-ექსპრესი)

## ასამდე ფარმაცევტული ობიექტის ხელმძღვანელს ჩამოერთვა ლიცენზია

ფარმაცევტულ დაწესებულებათა ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი სერიოზული დარღვევების გამო, ასამდე ფარმაცევტული ობიექტის ხელმძღვანელს ჩამოერთვა ლიცენზია. ეკონომიკური სანქციებით დაჯარიმდა 120 ობიექტი.

შემოწმდა თბილისში მდებარე 13 საავადმყოფო, 14 სააფთიაქო ბაზა, 32 აფთიაქი, 97 სააფთიაქო მაღაზია. შემოწმების შედეგად 30-მდე ობიექტს ჩამოერთვა ლიცენზია. (იფრინდა)

## ჭრელო პეპელა, იფრინე... ხომ გითხარი, გაფრინდებიან-მეთქი

ოზურგეთის რაიონული გამგეობის მთავარი მრჩევლის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების საკითხებში გურამ ბერძენიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ ოზურგეთის რაიონს ამერიკული თეთრი პეპლას წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოუყო საჭირო პრეპარატები, მცენარეთა დაცვის რეგიონალურმა სამსახურმა ვერ შეძლო სამუშაოების სათანადო დონეზე ჩატარება. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ პირველ ეტაპზე აღნიშნული სამსახურის მიერ მარადმწვანე ნარგავების შეწამვლა მავნებლის ლოკალიზებისა და განადგურების მიზნით მხოლოდ ქალაქის ცენტრში მოხდა და ისიც ძირითადად კოსმეტიკურ ხასიათს ატარებდა. „თუ ასე გაგრძელდა, ოზურგეთში კატასტროფა გარდაუვალია“ - აცხადებს ბერძენიშვილი. (მოამბე-ექსპრესი)

## გრიგალი კოდორის ხეობაში

1 სექტემბერს კოდორის ხეობაში, სოფ. აჟარაში, ჩხალთაში, მარჯვენა და მარცხენა გენცვისში მომხდარმა გრიგალმა დააზიანა ადმინისტრაციული შენობები და სკოლები. ამის შესახებ „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავ-რემ ზურაბ ერქვანიამ.

ზერქვანიას თქმით, ნაწილობრივ განადგურებულია ნათესები, დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, დაზიანებულია ხიდები. ხეობის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები არ დაზიანებულა. გრიგალმა გამოიწვია ზვავსაშიშროება. მსხვერპლი არ არის.

ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებით, 1 სექტემბერს გვიან ღამით, გაიმართა აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა. „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში ზ.ერქვანიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ ჩააყენა საქმის კურსში პრეზიდენტი ე.შევარდნაძე, რომლის განკარგულების თანახმად, ზარალის დასადგენად მიღებულია ყველა საჭირო ზომა.

კოდორის ხეობაში უამინდობის გამო, რომელმაც სკოლების დანგრევა გამოიწვია, სათანადო აღსადგენი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ახალი სასწავლო წლის დაწყება 5 სექტემბრისათვის არის დაგეგმილი.

ამჟამად კოდორის ხეობაში, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, 3200 ადამიანი ცხოვრობს, აქედან 20% ლტოლვილია. (იფრინდა)

## საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ცნობა



დიდი ბრიტანეთის საელჩო ღრმა მწუხარებით იუწყება 31 აგვისტოს პარიზში პრინცესა დიანას ტრაგიკული დაღუპვის შესახებ.

საელჩოს ოფისში გაიხსნა სამძიმრების წიგნი, რომელშიც ხელმოწერა შესაძლებელია სამშაბათიდან პარასკევამდე დილით 11 საათიდან პირველის ნახევრამდე და 14.30 საათიდან 16 საათამდე.

---

გუშინ ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია Caucasus Links-ის ოფისში უელსის პრინცესა დაიანას ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებული პანაშვიდი გაიმართა, რომელსაც ინგლისის ელჩი საქართველოში სტივენ ნეში, ინგლისის საელჩოს, საქართველოში არსებულ სხვა ბრიტანულ ორგანიზაციათა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობა ესწრებოდა. (გეა)


გამოვიდა გაზეთი

მშვიდობით, ლედი დი!

რომელიც ეძღვნება
პრინცესა დაიანას ხსოვნას.

მისი შეძენა შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებსა და გაზეთის კერძო გამავრცელებლებთან.


## კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1. შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში; 5. ქალაქი კრასნოდარის მხარეში; 6. სუსტი ქუსლის მქონე ბერძენთა უმამაცესი მეომარი; 8. მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 9. ჩვილი ბავშვის პირველი წამოძახილის აღმნიშვნელი სიტყვა; 10. ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული დედამიწას; 11. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დრო; 15. ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა; 18. ღვთაების წარმოდგენა ადამიანის სახის მქონედ; 21. ცალკე პირის ან დაწესებულების წერილების, ხელნაწერების ან ფოტოსურათების კრებული; 22. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 24. ნაკურთხი წყალი; 26. მიწის ფართობის საზომი, ჰექტარის ერთი მეასედი; 27. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე; 28. ძველებური პატრუქიანი თოფი, რომელიც იტენებოდა ლულიდან; 29. რთული მანქანა, შედგენილი ერთმანეთთან შეერთებული სხვადასხვა ტიპის რამდენიმე მანქანისაგან; 30. გადაჭარბებული თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა.

ვერტიკალურად: 1. შარვლის დასამაგრებელი სამხრე; 2. განცხადება სპექტაკლის ან კონცერტის შესახებ; 3. მღვდელმთავართა ზოგადი სახელი; 4. ასეთი ან ისეთი შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს ან მოვლენებს; 7. ბატონი ან პატრონი თურქეთსა და სპარსეთში; 12. კაცი, რომელიც ცხოვრობს საყვარლის ხარჯზე; 13. კინოსერიალ „კასანდრა“-ს პერსონაჟი; 14. სწორი აღქმის დარღვევა თავის ტვინის ქერქის დაზიანების გამო; 15. მღვდლის ზედა ფართო და გრძელი სამოსი; 16. ლოგარითმის ფუძედ მიღებული რიცხვი; 17. მდინარე გერმანიაში; 19. მთავარი მსაჯი; 20. მსახიობი; 23. მხარე, მიდამო; 25. ხეხილი მჟავე-მოტკბო ნაყოფით; 27. მთავარი არტერია ადამიანის ორგანიზმში.

მერაბ კანდელაკი


მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ებანოიძე

ტელეფონები:

რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444